სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 მაისი 2004 №113 (2132) ფასი 50 თეთრი

REUTERS გიოტებურგიდან

2:0 ვალენსია ბენიტესმა უეფაც მოიპყრო მარსელი

ასე და ამგვარად, „ვალენსიამ“ ისედაც ჩინებული სეზონი მორიგი ტრიუმფით გაალამაზა — თავისი ისტორიის 24-წლიანი ევროპაუზა უეფას თასის მოპოვებით დაასრულა და ესპანეთის ჩემპიონის წოდებას ეს საერთაშორისო ჯილდოც დაამატა. შეგახსენებთ: „ვალენსია“ ის გუნდია, რომელმაც 2000 და 2001 წლებში ზედიზედ წააგო ჩემპიონთა ლიგის ფინალები, თუმცა იგივე „ვალენსია“ გახლავთ ის გუნდი, რომელიც უკვე მესამედ დაეპატრონა უეფას თასს.

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ თამაშს: საერთოდ, ნებისმიერ, რაიმეთი გამორჩეულ შეხვედრას მთავარი როლის შემსრულებელი ჰყავს. ასეთი შვედეთის ქალაქ გიოტებორგში ჩატარებულ წუხანდელ ფინალსაც ჰყავდა — ეს იყო აშკარა ანტიგმირი, ცნობილი მეკარე ფაბიენ ბარტეზი.

REUTERS გიოტებურგიდან

UEFA CUP უეფას თასი 2003-2004. ფინალი UEFA CUP

რაფაელ ბენიტესი

გიოტებორგი. ულევი

ვალენსია 2:0 მარსელი

1:0 ვისენტე (45 პენ.), 2:0 მისტა (58)

ვალენსია: კანისარესი, ტორესი, აიალა, მარჩენა (პელეგრინო 84), კარბონი, რუფეტე (აიმარი 64), ალბელდა, ბარაზა, ვისენტე, ანგულო (სისოკო 82), მისტა

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მარსელი: ბარტეზი, ფერეირა, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, დოს სანტოსი, მარლე, ფლამინი (ბატლე 71), ნდიაიე (სელესტინი 84), მერიემი (გავანონი 45), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე ანიგო

გაფრთხილება: მარლე, დროგბა, ვისენტე, კარბონი

გაძევება: ბარტეზი (45)

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

43 000 მაყურებელი



ჟოზე ანიგო

ბარტეზმა მისტა კი არა, მთელი მარსელი წააქცია

„მარსელის" მეკარემ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფაბიენ ბარტეზმა პირველი ტაიმის ბოლო წამზე, პირისპირ შესული მისტას უხეშად დაზღერთება მოიფიქრა და ამის გამო სრულიად სამართლიანად დაისაჯა არა მხოლოდ პენალტით, არამედ, წითელი ბარათითაც. აშკარად გაუგებარია, რატომ მოუვიდა მრავალნაცად ვეტერანს თავში აზრად, მოწინაალმდეგის შესაჩერებლად ორი ფეხით ჩახტომა. ჩვეულებრივად, მეკარეთა წესის თანახმად, ხელებით რომ ჩაწოლოდა მისტას, იქნებ მხოლოდ თერთმეტმეტრიანით დასჯილიყო, გაძევებას კი გადარჩენოდა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, საფრანგეთის ნაკრების წევრმა სხვანაირად განსაჯა და, შედეგად ის მიიღო, რომ ნახევარმცველის, მერიემის მაგივრად შესულ გამოუცდელ მეორე გოლკიპერს, ჟერომ გავანონს ვინსენტემ ფრიად ცივად გაუტანა გოლი. ვიმეორებთ, ეს შეხვედრის პირველი ტაიმის ბოლოწამს მოხდა, რაც ნებისმიერი ბავშვისთვისაც ცნობილია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გოლის გამშვები გუნდისთვის ძალიან ცუდი დროა.

და მართლაც, მეორე ტაიმში „მარსელი" აბსოლუტურად დაჩუტული დაუბრუნდა მოედანს. თანამედროვე ფეხბურთში, მოგეხსენებათ, გაძევება იშვიათი ხილი არ არის და ისიც ძალიან ხშირად გვინახავს, როგორ იგებს თამაშს ესა თუ ის გუნდი უმცირესობაში დარჩენის შემდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამბები „თანამედროვედ" არ განვითარდა. თითქოს 30-40 წლის წინანდელი ფეხბურთი ყოფილიყო (როდესაც ფეხბურთელები ამდენს ვერ დარბოდნენ და ერთი კაცის მოკლება მთელი დერეფნის გამოჩენას ნიშნავდა), „მარსელი" განადგურდა და დაჩიავდა, „ვალენსიამ" კი უპირატესობა შეირგო და მეორე ტაიმის მე-13 წუთზე მეორე გოლი გაიტანა. ეს ისევ მისტამ შეძლო. მას მარცხნიდან ვისენტემ მიაწოდა ჩინებული პასი, ხოლო ფორვარდმა ეგრეთ წოდებული მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა გამოავლინა.

არადა, პირველ ტაიმში „მარსელმა" ძალიან იყოჩაღა. მოგეხსენებათ, თამაშის წინ ჩინებული თავდამსხმელის, დიდიე დროგბას ჯანმრთელობა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, მაგრამ სპილოს ძვლის ნაპირელმა მოედანზე გასვლა შეძლო და შეხვედრის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურათაგანიც გახლდათ.

ერთი სიტყვით, დასაწყისში, უფრო სწორად. კი სადღაც მეთხუთმეტედან ოცდამეათე წუთამდე, ფრანგებს საკმაოდ თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ და მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ვერც ერთი მათგანით ვერ ისარგებლეს, საბოლოო დარტყმები გამოუვიდათ უზუსტო. შემდეგ „ვალენსიამ" მეტ-ნაკლებად გაათანაბრა თამაში და საქმე ასეც მიდიოდა შესვენებისკენ, იმის ცოდნით, რომ გოლი არ გავიდა, თორემ მეტოქეს თამაშით „მარსელმა" აჯობა, რომ არა...

თუმცა შეხვედრის ანტიგმირზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

ხოლო იტალიელმა მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ თავის დიად ფინალების კოლექციას კიდევ ერთი, ამჯერად უეფას თასის ფინალი მიამატა.

პაპუნა ძიდია

REUTERS ფოტოგრაფიები

რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური

ალანია 4:2 დინამო
ცსკა 1:1 შინიკი
როსტოვი 3:1 სპარტაკი
როტორი 2:2 ამკარი
ყუბანი 1:1 კრილია
ლოკომოტივი 0:1 ზენიტი
სატურნი 1:1 რუბინი
ტ. მეტალურგი 0:2 ტორპედო

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXI ტური

ინტერი 1:1 ჟილინა
ტრნავა 3:0 დუბნიცა

უნგრეთი

NB1. პლეი ოფი

ბალატონი 2:3 ფერენცვაროში
შოპრონი 1:1 უიპეშტი
მტკ 0:1 დებრეცენი

პლეი აუტი

ბეკეშჩაბა 2:0 დიორი
ჰალადასი 1:1 პეჩი
ვიდეოტონი 5:0 ზალაეგერსეგი

ხორვატია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

დინამო 0:0 ვარტეკსი

სლოვენია

თასის ფინალი
პირველი მატჩი

მარიბორი 4:0 დრავოგრადი

დანია

მეორე დივიზიონი

ბრაბრანდი 0:0 იეტსმარკი

ინგლისი

II დივიზიონი. პლეი ოფი

ბრისტოლი 2:1 ჰარტლპული

III დივიზიონი. პლეი ოფი

ჰადერსფილდი 2:2 ლინკოლნი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური

ბორუსია (მ) 1:2 ვუპერტალი

ჰოლანდია

პლეი ოფი A

სპარტა 1:3 ვიტესი
ვენლო 6:0 ჰელმონდი

პლეი ოფი B

გრააფსხაპი 0:0 ექსელსიორი
ჰერაკლესი 4:0 ვოლენდამი

შვედეთი

თასი. III ეტაპი

ფრისკა 4:3 ელფსბორგი
ოპერა 4:1 გეფლე
ოსტერი 2:1 ფორვარდი
სილვია 3:5დ.დ.(3:3) ჰალმსტადი
ჰასლეჰოლმი 2:4 ასირისკა
ვისბუ 0:1 ვარნამო

ნორვეგია

ტიპელიგა
VII ტური

ვოლერენგა 2:2 რუსენბორგი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

შო დე ფონი 2:1 ვადუცი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ვინ არის მესამე ძალა? თქვით!



ბაჩო ჯალაღონია ფოტო

სამშაბათის ერთობლივ პრესკონფერენციაზე „დინამოსა“ და „თბილისის“ განცხადებამ, ჩვენ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი გვაქვს და წყალს მესამე ძალა გვიმღვრევსო, საფეხბურთო წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ეჭვებიც მრავლად დაბადა.

ვინ არის ის მესამე ძალა, რომელიც „დინამოსა“ და „თბილისს“ შორის ურთიერთობას აფუჭებს? ვინ არის ის ძალა, რომელმაც თითქოსდა ეს გუნდები ერთმანეთს წაჰკიდა? ვინ არის დაინტერესებული: ფედერაცია თუ ზეექვსეულის რომელიმე გუნდი?

პრესკონფერენციის მონაწილეებმა თავისებური მინიშნება გააკეთეს, ჩემპიონი გუნდი უეფასგან 150 ათას შვეიცარიულ ფრანკს იღებს და ჩემპიონობისთვის ბინძური ბრძოლაც ამიტომ მიდისო. ასეთი განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, ბევრმა ეჭვის თვალით „ვიტ ჯორჯიასკენ“ გაიხედა — ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი ხომ სწორედ ეს გუნდია

შვიდჯერ მშვიდი ვიტ ჯორჯია: აი, გავხდებით ჩემპიონები...

— როცა ასეთ ავანტიურულ განცხადებებს აკეთებენ, სათქმელი კონკრეტულად უნდა თქვან და ხალხს ეჭვის საფუძველი არ მისცენ — გვითხრა იტალიაში მყოფმა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა *გურამ რუხაძემ* — „ვიტ ჯორჯია“ სიბინძურეში გარეული არ ყოფილა და არც იქნება. ჩვენ ჩვენს საქმეს შვიდი წელია მშვიდად და აულელვებლად ვაკეთებთ. მსგავსი განცხადებები „ვიტ ჯორჯიაზე“ არ მოქმედებს, მთავარი ისაა, რომ საკუთარ თავში დარწმუნებულნი ვართ და ვის რა წყალი ემღვრევა, არც გვაინტერესებს. „ვიტ ჯორჯია“ თავის პროგრამას მიჰყვება, ჩვენი საქმე გვაქვს, რასაც, მგონი, ცუდად არ ვაკეთებთ.

— მაშინ, როცა „ვიტ ჯორჯიას“ ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდა, კულუარებში იმზეც ალაპარაკდნენ, რომ თქვენ სხვა ინტერესებიც გაქვთ, ჩემპიონობისკენ გული დიდად არ მიგიწევთ და შესაძლოა, ბოლო ტურში „ლოკომოტივთან“ თამაში სხვის სასარგებლოდ დათმოთ...

— აი, გავხდებით ჩემპიონები და ყველა ეჭვს ერთიანად გავაქრობთ. „ვიტ ჯორჯია“ ბევრჯერ ყოფილა ჩემპიონობასთან ახლოს, მაგრამ ასე ახლოს არასდროს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ წლეულს ჩემპიონობა სწორედ ჩვენ დაგვრჩება.

კობა ინასარიძე

EXORCIST

თემურ ვოლკოვი ეშმაკეულს თბილისთან განაგდებს

9 მაისს ბოლნისის „სიონი“ თბილისის „ლოკომოტივს“ მასპინძლობდა და გამარჯვების შემთხვევაში კაიხელა ნაბიჯს დგამდა საჩემპიონო ოქროსკენ, მაგრამ... იმ შეხვედრის ბოლო წუთებზე ბოლნისელებმა კურიოზული გოლი გაუშვეს და მატჩიც ფრედ, 1:1 დასრულდა. ქომაგმა მთავარ დამნაშავედ თემურ ვოლკოვი ცნო და მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად მოთამაშე მეკარეს საკმაოდ მძიმე წუთების გადატანა მოუხდა...

ბაჩო ჯალაღონია ფოტო

— თემურ, ინტერვიუზე დაგვთანხმდი და, ბუნებრივია, უხერხულ კითხვებს ვერ გავექცევით. „სიონ“ — „ლოკომოტივს“ ბევრი ვნებათაღელვა მოჰყვა. მაინც რა მოხდა?

— თვითონაც ვერ ვხსნი, რა მოხდა და რა დამემართა. ასეთი გოლები საერთოდ არ გადის და მეც მსგავსი არაფერი დამმართვია. რაღაც სატანური მოხდა იმ დღეს და მან გაიმარჯვა. იმ მომენტში რას ვაკეთებდი და რა მინდოდა, არ ვიცოდი. თვალთ დამიბნელდა, მოედანზე ვიწექი და ასე მეგონა, სადღაც ცაში დავფრინავდი.

— გულშემატკივარმა კი სხვანაირად განსაჯა...

— მიწა გამსკდომოდა, ის მერჩივნა, ვიდრე უსამართლო ბრალდებები მომესმინა. რაც მე „სიონს“ ერთგულად ვემსახურე, ნახევარი ცხოვრება და კარიერის საუკეთესო წლები, თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა. ეს აქ, თბილისში, „ლოკომოტივის“ ან „დინამოს“ მეკარეობაა იოლი, მიდი და ბოლნისში ჩადექი კარში. გულნატკენი ნაღდად ვარ, მაგრამ არა უშავს, ხელები არ ჩამომიშვია.

— კარიერის დასრულებაზე ხომ არ გიფიქრია?

— ამაზე ჯერ არ ვფიქრობ თუნდაც იმიტომ, რომ იმ მატჩის მერე დასამტკიცებელი ბევრი მაქვს.

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თანაგუნდელებმაც არ გაგამხნევეს, დამნაშავედ ჩაგთვალეს...

— რას ამბობ, ბიჭების ძალიან მადლობელი ვარ. რომ არა მათი გამხნევება, ალბათ მართლა გავგიჟდებოდი. თემურ მახარაძემაც მანუგეშა.

— ბოლო ტურის მატჩში გორის „დილასთან“ კარში არ იდექი და ითქვა, ვოლკოვი ბოლნისში ჩასვლას, გულშემატკივრებთან შეხვედრას მოერიდაო...

— გეფიცები, თითის ტრავმა მაქვს, ახლაც მტკივა, თუმც ცოტა უკეთ ვარ.

— „თბილისთან“ საჩემპიონო მატჩი გელით, ითამაშებ?

— აუცილებლად, თამაში ისე მინდა, აღარც თითი მაინტერესებს და აღარც სხვა. ვითამაშებ თუნდაც იმ შოკიდან გამოსასვლელად. ვინმეს თუ ეწყინა, მე მასზე ასჯერ მეტად დავიჩაგრე და გავნადგურდი.

— „სიონის“ საჩემპიონო შანსებს როგორ აფასებ?

— რა გითხრა? ჩვენ, ფეხბურთელები, მოედანზე კი გავალთ და თავს არ დავზოგავთ, მაგრამ ბოლნისში ფეხბურთის არსებობა ვისზეც არის დამოკიდებული, მათაც რაღაც უნდა იღონონ, ფინანსურადაც და მორალურადაც უნდა დაგვიჭირონ მხარი. მესმის, ჩვენი გაჩემპიონებით მთელ რეგიონში საფეხბურთო ბუმი იქნება, მაგრამ... „თბილისთან“ მატჩს რაც შეეხება, ფაქტია, თავს არ დავზოგავთ და მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე. დიდი სურვილი მაქვს, ეს თამაში პირადად მე მოვიგო და ამით ყველა გავაჩუმო.

დავით ერაძე

კორღალიძის გრაფიკი

ივნისი: ყავარჯნები
ივლისი: ძუნძული
სექტემბერი: თამაში



ბაჩო ჯალაღონია ფოტო

ლობანოვსკის ტურნირზე დაშავებულმა ქართველმა ლევან კორღალიძემ გუშინწინ აქილევსის მყესების ოპერაცია გაიკეთა. რიგის „სკონტოს“ ნახევარმცველი, სულ მცირე, სექტემბრამდე ვერ ითამაშებს — ასეთია ექიმთა ვარაუდი. ნოპერაციები კორღალიძე კი უკვე სახლშია და თავს კარგად გრძნობს. საქართველოს ნაკრების კანდიდატს განწყობაც ხალისიანი ჰქონდა — ოპერაციამ გაურთულებლად ჩაიარა და ეს ძალიან მახარებსო, გვითხრა, რიგაში რომ შევეხმიანეთ...

— სამშაბათ დილით გავიკეთე ოპერაცია და დღეს უკვე შინ ვარ. ექიმები კმაყოფილები დარჩნენ და მაიმედებენ, ყველაფერი კარგადაა. მეც ახლა უკვე აღდგენით პროცესებზე ვფიქრობ.

— კი მაგრამ, ეს ჯერ ნაადრევი არ არის?

— ასეა, მაგრამ ხომ იცი, ავადმყოფობამ იმედის გაათმაგება იცის. უკვე იმაზე ვფიქრობ, როდის რა იქნება და ერთი სული მაქვს, ვარჯიში დავიწყო. თუმცა აჩქარებას არ ვაპირებ. ამან, შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩამიყაროს.

— ახლა რა როგორ იქნება?

— ერთი თვე ყავარჯნებით ვივლი. მერე სარეაბილიტაციო პროცედურები დამჭირდება და ივლისის ბოლოს ალბათ ძუნძულს დავიწყებ. მითხრეს, სექტემბერში თამაშს შეძლებო...

ძახა შალამბერიძე

ამერელები ვულოცავთ ჩვენს ჯაპიტანს, გიორგი დავითნიძეს ვაჟის დაბადებას. პატარა დავითი სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!

სარბიელელები ვულოცავთ გიორგი დავითნიძეს ვაჟის, დავითის დაბადებას. გაიზარდოს, გაიხაროს!

გიორგი შაშიაშვილი:
ბევრი მცირეში არ ჩაეტია
თითქოს ერთ ადგილას გავჩერდით

მიმდინარე ჩემპიონატის მეორე ეტაპი თბილისის „დინამოსთვის" ისე წარიმართა, რომ ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის უკეთესი შანსი „ვიტ ჯორჯიას" აქვს, რომელთანაც დინამოელები წინა ტურში შინ 1:3 დამარცხდნენ. „დინამო" ვიტელებს და ბოლნისის „სიონს" ქულით ჩამორჩება.

თუმც „დინამოს" მცველ გიორგი შაშიაშვილთან მხოლოდ ვიტჯორიურ მარცხზე არ გვისაუბრია — „დინამო" ყოველთვის აქტუალური თემაა.

24 წლის შაშიაშვილი კი ორი-სამი წლის წინ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნეოდა, რამდენიმე შეხვედრა ეროვნულ ნაკრებშიც ჩაატარა მაღალ დონეზე. თუმც შემდეგ არცთუ წარმატებული გამოდგა მისი კარიერა და ინტერვიუში ამაზეც წაიკითხავთ



— ბოლო ტურის წინ „დინამოს" სხვაზე ნაკლები საჩემპიონო შანსი აქვს — ყველაფერი აქამდე რომ მივიდა, ამას რას დააბრალებდი?

— მეორე ეტაპისთვის „დინამო" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. განახლდა ჩემპიონატი და თამაშებს ვერ ვიგებდით, თითქმის ყველა კონკურენტთან ფეხი დაგვიცდა. შემდეგ გუნდში ცვლილებები მოხდა — შეიცვალა მწვრთნელი, დაითხოვეს რამდენიმე ფეხბურთელი და მოვიდნენ კარგი ახალგაზრდა მოთამაშეები, რომელთაც გამოცდილება თუ აკლიათ. ახალი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის ხელში რაც ვითამაშეთ, ყველა ფინალის დონის თამაში იყო — მოვუგეთ „სიონს", „თბილისს", ხოლო თასის ნახევარფინალში „დილას". ამის მერე წავედით კიევში ლობანოვსკის ტურნირზე და, როცა ჩამოვედით, „ვიტ ჯორჯიასთან" სრული კონცენტრაცია გაგვიჭირდა, თანაც დავით კვირკველია და გიორგი ნემსაძე გვაკლდნენ. ერთი სიტყვით, ასეთ სიტუაციაში რომ აღმოვჩნდით, იმას ვაბრალებ, რომ დროის მცირე მონაკვეთში „დინამოს" ძალიან ბევრი რამ გადახდა თავს.

— „დინამოდან" თითქმის ყოველთვის მიდიოდა ხოლმე ერთბაშად 4-5 ფეხბურთელი საშუასეზონო პერიოდში თუ სეზონის ბოლოს, მაგრამ გუნდი მაინც ჩემპიონი ხდებოდა...

— ეგრეა, „დინამოდან" წამყვანი ფეხბურთელები მიდიოდნენ და მათ ნაცვლად ყველასთვის უცნობი ახალგაზრდები მოდიოდნენ, მაგრამ „დინამო" მაინც პირველი იყო. ახლა კი ბევრი რამ იმის ბრალიცაა, რომ ჩვენ მეორე ეტაპზე აგრესიულობა დაგვაკლდა.

— მწვრთნელად გია გეგუჩაძის მოსვლით რა შეიცვალა?

— „დინამო" სხვანაირ გუნდად გამოჩნდა, მეტი მონდომებით და აგრესიით ავთამაშდით.

— მაგრამ ბოლო ტურში ჩემპიონობის შენარჩუნების დიდი იმედი არ გაქვთ?

— „ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივს" მასპინძლობს და რკინიგზელებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ, „ლოკომოტივი" ძლიერად თამაშობს დაცვაში, მებრძოლი გუნდია, ჩვენ მეორე ეტაპზე ოთხი ქულა დაგვაკარგვინა და „ვიტ ჯორჯიასაც" იოლი მატჩი როდი ელის. არავინ იცის, რა მოხდება „თბილის" — „სიონის" მატჩშიც, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლა მეტწილად სხვაზე ვართ დამოკიდებულნი, საჩემპიონო შანსი ჩვენს ხელში იყო, მაგრამ ის გავუშვით.

— თასის მოპოვების შანსი კი კვლავ თქვენს ხელთაა...

— ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ, მაგრამ აქცენტი ახლა უფრო თასის ფინალზე გვაქვს გადატანილი

— „დინამოდან" ივო შუშაკის წასვლის შემდეგ კაპიტნობა ჩამოგართვეს, ახლა ვიცე-კაპიტანი ხარ — როგორ იმოქმედა ამან შენზე?

— თუ გუნდის კაპიტანი ხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ჩემი კაპიტნობისას კი „დინამომ" რამდენიმე ტიტული მოიგო — ჩემპიონობა, თასი და ესენგეს თასი.

— შუშაკზეც უნდა გვითხრა — ბოლო დროს მის ხელში „დინამო" მართლაც ულაზათოდ თამაშობდა...

— როცა შუშაკი „დინამოში" მოვიდა, ეს ჩვენთვის ახალი ხილივით იყო. შუშაკის ხელში „დინამომ" გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ შემდეგ გუნდი თითქოს ერთ ადგილას გაჩერდა. ბოლო დროს უკვე ბევრი ამბობდა, რომ შუშაკის „დინამო" ერთფეროვნად თამაშობს, რომ „დინამოს" თამაში ადვილად ამოსაცნობია მეტოქეებისთვის. ალბათ ამის ბრალიც იყო, რომ მიმდინარე ჩემპიონატის მეორე ეტაპზე თამაშებს ვერ ვიგებდით.

— და როგორ თამაშობს „დინამო" გეგუჩაძის ხელში?

— აქცენტი სწრაფ, შემტევ ფეხბურთზეა გადატანილი.

— „დინამოში" შუშაკის მოსვლამდე ხშირად ერთვებოდი შეტევაში, ეროვნულ ნაკრებშიც კი თამაშობდი, მაგრამ შემდეგ წინ არ მიდიოდი და შენს დაცვაში თამაშსაც დაღი დაესვა — რით ახსნი ყველაფერ ამას?

— თანამედროვე ფეხბურთში თამაშებს ხშირად მცველები იგებენ, შეტევაში წასვლა მცველისთვის აუცილებელია. ახლა „დინამოში" მარჯვენა მცველად ვთამაშობ და შეტევებშიც ვერთვები. ეს ჩემთვის მართლაც საჭიროა, რათა, ასე ვთქვათ, გავიხსნა. თუ წინ არ წავედი, დაცვაშიც სუსტად ვითამაშებ, თუნდაც იმიტომ, რომ თუ არ შეუტიე, მეტოქე ყოველთვის აქეთ შემოგიტევს.

დავით თავართქილაძე

თბილისი აქვეა
გოგობერიშვილს ჩემოდნები შეიძლება არც დასჭირდეს

ალეკო გოგობერიშვილი ფორმის შესანარჩუნებლად „დინამო 2"-ში ვარჯიშობს და თამაშობს. 31 მაისამდე, ანუ საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე გოგობერიშვილს ახალ კლუბში გადასვლა არ შეუძლია, ამის შემდეგ კი ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და მისი შეძენის მსურველებს მასთან საქმის დაჭერა შეეძლებათ. ჯერჯერობით გოგობერიშვილის შეძენით სხვებზე უფრო „თბილისია" დაინტერესებული, რაც ალეკომაც დაგვიდასტურა

— შემოთავაზებები არის, ჯერჯერობით ყველაზე რეალური „თბილისის" ვარიანტი ჩანს. ჩვენ შორის, ასე ვთქვათ, ნაცნობობა შედგა.

— შემოთავაზებებიო, თქვი. ქართული კლუბებია თუ უცხოური?

— უკრაინული და რუსული კლუბებია, არის ბერძნული და კვიპროსული ვარიანტებიც, რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგის კლუბები. მაგრამ ეს უფრო სამუშაო ვარიანტებია და, რომ ვთქვა, უკვე ჩემოდანზე ვზივარ-მეთქი, მართალი არ იქნება.

— შენმა შემძენმა საკომპენსაციო თანხა უნდა გადაიხადოს?

— არა. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ თავისუფალი აგენტი ვხდები და ჩემში არანაირი თანხა არ იქნება გადასახდელი.

დავით ერაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა
გენერალური სპონსორი
ფეხბურთი
დავით ყიფიანის თასის ფინალი
დინამო თბილისი
VS
ტორპედო ქუთაისი
26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00
პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან
დასწრება უფასოა

კალაძე ჯერ ქირქსს გაიცნობს, მერე ჩინეთს ექიმებმა ხახას, ხარგად იყავიო

ხვალ კახა კალაძე თბილისში ახალ, იტალიის ჩემპიონის რანგში ჩამოვა და 27 მაისს საქართველო — ისრაელის ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. მეორე დღეს კალაძე ჩინეთში გაფრინდება, სადაც მისი „მილანი“ მასპინძლებთან ორ კომერციულ-საჩვენებელ მატჩს გამართავს. იქამდე კი კახა მილანშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს

ვარავ დიდებულიძის ფოტო

— ჩემპიონატი კი დამთავრდა, მაგრამ ვარჯიშები მაინც გრძელდება. დატვირთვები, რა თქმა უნდა, ნაკლებია, თუმც არც მთლად მხართეძოზე ვართ წამოწოლილია — გვითხრა გუშინ კალაძემ — ყოველთვის ასეა, მომქანცველი სეზონის შემდეგ ერთიორი კვირა ვარჯიშებს ვაგრძელებთ. თანაც მალე, 27 მაისს „მილანი“ ჩინურ ტურნეში მიემგზავრება და იქ მთლად უვარჯიშებლები ხომ ვერ ჩავალთ.

— 27 მაისს საქართველო ისრაელს ეთამაშება. გამოდის, თბილისში არ უნდა გელოდოთ?

— თბილისში პარასკევს ჩამოვალ, ნაკრებში ვითამაშებ და „მილანს“ 28-ში ჩინეთში შევუერთდები. თავიდან კლუბი ნაკრებში ჩემი გამოშვებისგან თავს კი იკავებდა და ჩინეთში გუნდთან ერთად წასვლას მთხოვდა, მაგრამ მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წერილი გამოაგზავნა და „მილანმაც“ უარი ვეღარ თქვა. ფაქტობრივად გაცდენილი სეზონის შემდეგ ნაკრებში თამაში ჩემთვისაც სასარგებლო იქნება, ახალ მწვრთნელსაც გავიცნობ და ბიჭებსაც ვნახავ.

— „მილანს“ ჩინეთში ორი მატჩი აქვს ჩასატარებელი და 28 მაისს შენ იქ ჩასვლას რაღა აზრი აქვს?

— პირველი თამაში 30 მაისსაა დაგეგმილი, მეორე 2 ივნისს. ასე რომ, ჩინეთში დასვენებასაც მოვასწრებ და თამაშსაც.

— ჩინეთიდან ისევ თბილისში დაბრუნდები?

— არ ვიცი, სადმე დასასვენებლად მინდა წავიდე, მაგრამ სად, ჯერ ვერ გადამიწყვეტია.

— ტრავმა, რომელმაც სეზონი გამოგატოვებინა, საბოლოოდ მოიშუშე?

— გუშინწინ ექიმებმა ერთხელაც შემამოწმეს და მთელი დატვირთვით ვარჯიშის ნება დამრთეს. უკვე აღარაფერი მაწუხებს, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი.

— „მილანი“ სეზონისთვის მზადებას ევროპის ჩემპიონატის მერე დაიწყებს?

— ორთვიანი შვებულება მოგვცეს. მზადებას 18 ივლისს დავიწყებთ და იმედია, მეც ძველებურად ავთამაშდები.

ძობა ინასარიძე

ბენეშმა შოთა გლაზგოდან გაუშვა: შენს საქმეებს უშენოდ მოვაგვარებ

გლაზგოური გაზეთი „ივნინგ თაიმზი“ ირწმუნება, რომ მალე შოთა არველაძე და „რეინჯერსის“ თავკაცი ალექს მაკლიში საგანგებოდ ისაუბრებენ იმაზე, გააგრძელებს თუ არა არველაძე კონტრაქტს „რეინჯერსთან“. შეგახსენებთ, რომ არველაძემ მოქმედი კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ითამაშოს „რეინჯერსში“ და ეს კლუბი მას ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივებას სთავაზობს, თუმც პირობები ჯერაც მოსალაპარაკებელია და შესაძლოა, შოთა დამდეგი სეზონისთვის სხვა გუნდში გადავიდეს ანუ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი გაწყვიტოს.

„ივნინ თაიმზი“ იმასაც იუწყება, რომ მაკლიშს მომდევნო სეზონისთვის ოთხი კარგი ფორვარდი სჭირდება — სტივენ ტომპსონი და ახალშეძენილი დადო პრსო უკვე შეგულებული ჰყავს, არველაძის დატოვებას შეეცდება და მერე კიდევ ერთი თავდამსხმელი უნდა მოძებნოს.

— თბილისში 22 მაისს მოვდივარ. ჩემი აგენტი ივან ბენეში ამ კვირაში უნდა ჩამოსულიყო გლაზგოში, მაგრამ დღეს დამირეკა და მითხრა, გლაზგოში 25 მაისს ჩავალ და შენს საქმეებს უშენოდაც მოვაგვარებო — გვითხრა გუშინ არველაძემ.

დავით თავართქილაძე

გუშინ რუსულ პრემიერლიგაში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარის გიორგი ლომაიას დებიუტი შედგა და... მისმა „სპარტაკმა“ როსტოვში 1:3 წააგო...

სკალა წყალში, ლომაია კარში

სამი გაშვებული გოლი, იცოცხლეთ, დიდი ტვირთია, მაგრამ ვინც ამ შეხვედრის ონლაინ რეპორტაჟს გაეცნო, დარწმუნდებოდა, რომ ლომაიას დარცხვენის მიზეზი სხვა სპარტაკელებზე ნაკლები აქვს. მან სამიდან ორი გოლი პირისპირ შეყრილი ფორვარდებისგან გაუშვა, ერთიც — კარის ხაზზე მდგომი როსტოველისგან. გიორგიმ ოთხჯერ ურთულესი ბურთიც მოიგერია. „სპარტაკის“ დაცვის ხაზი კი ძალიან უსუსურია, რაზეც გუნდის სატურნირო მდგომარეობა და გაშვებული ბურთების რაოდენობაც მეტყველებს.

სკალა კი ლომაიას მაშინლა ენდო, როდესაც თავად მას გუნდში ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას. ჩვენთვის სახეირო ამაში ისაა, რომ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსულ მეკარეს „სპარტაკის“ ძირითადში დამკვიდრების ეს შანსიც ფსიქოლოგიურად უკეთ განაწყობს.

დავით ერაძე

რომან ახალკაცმა მალევე მოიკიდა ფეხი მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლებში და სადღეისოდ გუნდის ლიდერადაც ითვლება. რკინიგზელთა ქართველი თავდამსხმელი დუბლების ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია 8 გოლით. თან ახალკაცს ერთი უცნაური თუ უნიკალური მაჩვენებელი აქვს — „ლოკომოტივში“ ოთხჯერ წყვილ-წყვილად გაიტანა. ასე იყო გუშინწინაც, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ მატჩში ჩვენებურმა ორი გოლით 2:0 მოაგებინა თავისიანებს.

ახალკაცს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და სამომავლო გეგმებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

რომან ახალკაცი:

სიომინს ძირითადი წამოსცდა დუბლებში დუბლები სხვანაირად ჩანს

— რუსეთში გადასვლის მერე გოლები წყვილად გაგაქვს. ეს ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენება?

— რა თქმა უნდა, გარედან რაღაც სხვანაირად ჩანს ეს ყველაფერი. რა ვიცი, უკვე ისე ვარ, რომ პირველი გოლის შემდეგ ვგრძნობ, მეორეც აუცილებლად უნდა შევაგდო. ჰოდა, გადის და გადის... ძალიან მიხარია, რომ ახალ გუნდში საქმეები კარგად ამეწყო და ძალიან მინდა, ასევე გავაგრძელო.

— ჰეთ თრიქებს როდისღა დაიწყებ?

— მაგხელა ნახტომი ჯერ მიძნელდება. ხვალ „კრილია სოვეტოვთან“ სათამაშოდ სამარაში მივდივართ და ვნახოთ, იქნებ იმ მატშივე გავიტანო სამი გოლი.

— ასე თუ გააგრძელე, ბომბარდირობასაც გამოჰკრავ ხელს...

— თუ ასე მოხდა, ჩავთვლი, რომ ამ სეზონში ჩანაფიქრი ავისრულე. რუბინელი ზავალი ერთი ბურთით მისწრებს და იმედი მაქვს, უახლოეს ტურებშივე გადავუსწრებ.

— „ლოკომოტივში“ მწვრთნელებმა თავდასხმაში წაგწიეს. ახლაც ამ პოზიციაზე თამაშობ?

— გამოკვეთილი თავდამსხმელი ვარ და როგორც ჩანს, ჩემით უკმაყოფილო არ არიან.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მალე ძირითად გუნდში გადაგიყვანენ?

— რა ვიცი... არის რაღაც ლაპარაკი ამაზეც.

— იური სიომინთან ხომ არ გისაუბრია?

— არა, ასეთი შესაძლებლობა არ მომცემია, მაგრამ დუბლების მწვრთნელები ბოლოხანს ხშირად მეუბნებიან სიომინის ნათქვამებს.

— რაო მერე, რას აბობს შენზე სიომინი?

— ბოლოს უთქვამს, თუ ასე გაგაგძელა, შანსს აუცილებლად მივცემო.

— მით უმეტეს, „ლოკომოტივს“ თავდასხმაში პრობლემები შეექმნა, დმიტრი სიჩოვის გარდა გოლი თითქმის ვერავის გააქვს...

— ჰო, მაგრამ, მაინც ძნელი იქნება ძირითადში მოხვედრა. სიომინს ახლა ექვსი თავდამსხმელი ჰყავს და ყველა მაღალი დონის ფეხბურთელია, თან გამოცდილებაც ხომ ბევრს ნიშნავს. მე კი ჯერაც დასამტკიცებელი მაქვს ჩემი ძალა. ასე რომ, ძირითად გუნდზე მეტად ახლა სარეზერვოებში თავის გამოჩენაზე უფრო ვფიქრობ. მერე ყველაფერი თავისით მოვა.

კახა შალამბერიძე

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ტრაპის ოცდასამი აძურელი

ჯილარდინო აძურინიზე გადაატარეს

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ ევრო 2004-ზე წასაყვან ფეხბურთელთა სია რომ გამოაცხდა, თვალს ყველაზე მეტად ფილიპო ინძაგის და ალბერტო ჯილარდინოს არყოფნა მოხვდა.

„მილანის“ ფორვარდი, ინძაგი, მოგეხსენებათ, ამ სეზონში კოჭის ტრავმამ დატანჯა და სერია A-ს სეზონიც მნიშვნელოვანწილად გაუცდა, ხოლო პარმელ ჯილარდინოს არაფერი სჭირს და ჩინებულ ფორმაშიც არის, მაგრამ ტრაპატონიმ იმთავითვე განაცხადა, რომ იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ჯობს, ამ ზაფხულს ათენში იტალიის ოლიმპიურ ნაკრებს დაეხმაროს. ერთი სიტყვით, მწვრთნელმა პორტუგალიაში გასამგზავრებელთა სიას იუვენტუსელი მარკო დი ვაიო მიამატა.

„გეფიცებით, მოვისვენე — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ჯილარდინომ — ბოლოს და ბოლოს, თუნდაც პრესის საშუალებით გავიგე, რომ ევროპის ჩემპიონატზე არ მეძახიან. ისე კი, ფედერაციიდან ჩემთან დარეკვით და ამბის უშუალოდ შეტყობინებით თავი არავის შეუწუხებია“.

შეგახსენებთ, რომ ჯილარდინომ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „უდინეზეს“ ოთხი გოლი გაუტანა, სულ სეზონში 23 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა სიაში მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩა მილანელ ანდრეი შევჩენკოს.

ალბერტო ჯილარდინოს მარკო დი ვაიო ამჯობინეს

ჯილარდინომ დასძინა: „თუ ტრაპატონიმ გადაწყვიტა პორტუგალიაში არ წამიყვანოს, ესე იგი, მას საამისოდ რაღაც კონკრეტული მოსაზრება აქვს და ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ახლა, „აძურინის“ (21-წლამდელთა ნაკრების) შემადგენლობაში ვითამაშებ და ვიმედოვნებ, რომ ოლიმპიადაზე დიდი თავგადასავალი გადაგვხდება. საბოლოოდ, გული, ცხადია, მწყდება, მაგრამ არც იმდენად, რადგან დიდებული სეზონი მქონდა და ძალიან კმაყოფილი დავრჩი“.

ჯილარდინოზე მეტად კი, ბუნებრივია, გული ინძაგის უნდა დაწყვეტოდა და დაწყდა კიდეც.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან იტალიის ნაკრების ექიმებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით მდგომარეობის გამოსწორების შანსიც არ მომცეს. არადა, ვფიქრობ, თავდადება და „სკუადრა აძურასთვის“ ის გოლები, რომლებიც წლობით გამქონდა და ამ შესარჩევ ციკლშიც გავიტანე, ჩემი პორტუგალიაში წაყვანისთვის სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო. დღეში რვა საათს ვმუშაობდი ფიზიოთერაპევტის მითითებით. ყველა ღონე ვიხმარე, ფორმა და ჯანმრთელობა უმოკლეს ვადაში რომ აღმედგინა, ამას კი იმიტომ ვაკეთებდი, რომ მწვრთნელს ნათქვამი ჰქონდა საბოლოო პასუხამდე ჯერ აუცილებლად გამოგცდიო. გულით მინდოდა ნაკრებში ვყოფილიყავი, რა გაეწყობა...“ — განაცხადა მილანელმა.

და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ევროპის ჩემპიონატზე მიდის იუვენტუსელი მარკო დი ვაიო. მან თქვა:

„აშკარად არ ვაპირებდი ძირითად შემადგენლობაზე რაიმე პრეტენზია მქონოდა და თავად გახლდით პირველი, ვინც, თუ შეატყობდა, რომ ასი პროცენტით არ იყო მზად, ევროპის ჩემპიონატში თამაშზე უარს იტყოდა. მეორე მხრივ, ძალიან მინდოდა ამ კამპანიაში მონაწილეობა მიმეღო და გამიმართლა“.

სხვა მხრივ კი, ტრაპატონის გამოცხადებულ სიაში ისინი არიან, ვისი ყოფნაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი. ერთი კია, ნახევარმცველის, მასიმო ამბროზინის ნაცვლად მცველის, ჯუზეპე ფავალის წაყვანა გახლდათ სიურპრიზი.

მესამე მეკარედ ჩაწერეს „ლაციოს“ გოლკიპერი ანჯელო პერუცი, ხოლო მავანთა იმედი, რომ მოხდებოდა სრული სასწაული და მწვრთნელი ბოლოწამს სიაში რობერტო ბაჯოს ჩაწერდა, გაქარწყლდა.

პაპუნა კედია

იტალია ევრო-2004-ზე

მეკარეები: ბუფონი (იუვენტუსი), ტოლდო (ინტერი), პერუცი (ლაციო)

მცველები: პანუჩი (რომა), კანავარო (ინტერი), ნესტა (მილანი), ძამბროტა (იუვენტუსი), ოდო, ფავალი (ორივე ლაციო), ფერარი (პარმა), მატერაცი (ინტერი)

ნახევარმცველები: ფიორე (ლაციო), კამორანეზი (იუვენტუსი), პეროტა (კიევი), ძანეტი (ინტერი), გატუზო, პირლო (ორივე მილანი)

თავდამსხმელები: ტოტი (რომა), ვიერი (ინტერი), დელ პიერო (იუვენტუსი), კორადი (ლაციო), დი ვაიო (იუვენტუსი), კასანო (რომა)

ფეხბურთის რუკასთან

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ბენუა პედრეტი „სოშოდან“ „მარსელში“ გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელით სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი და, როგორც პედრეტის აგენტმა ჟან-პიერ ბერნემ აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ „ლიონთანაც“ მიმდინარეობდა მოლაპარაკება. თუმცა პედრეტიმ კარიერის გაგრძელება „მარსელში“ არჩია. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

რუსეთის პრემიერლიგის სადისციპლინო კომიტეტის მორიგ სხდომაზე რამდენიმე ფეხბურთელს სასჯელი არ ასცდა. მსაჯების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის „ზენიტის“ მოთამაშეები, შირლიმ და რადიმოვმა, შესაბამისად, შვიდმატჩიანი და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს. ხუთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს ალანიელ ბარასუს, რომელმაც მეტოქის ფეხბურთელს დაუპირა ცემა. გარდა ამისა, გულშემატკივართა უწესრიგო ქცევისთვის „ალანიასა“ და „ზენიტს“ 30 ათასი რუბლის გადახდა მოუწევთ.

ინგლისური „ასტონ ვილას“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად კოლუმბიელი ხუან პაბლო ანხელი აღიარეს. ბირმინგემელებიც ლიდერის შენარჩუნებას ცდილობენ და მას ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. თუმცა ფორვარდი უკეთეს კლუბში გადასვლაზე ფიქრობს და ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერჯერობით თავს იკავებს. „ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ არ დამთავრებულა. მინდა, ყველაფერი იქამდე გაირკვეს, სანამ სამშობლოში დავბრუნდები დასასვენებლად. იმ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, რომელსაც კლუბი მთავაზობს, უკვე 32 წლის ვიქნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარიერის საუკეთესო წლები „ასტონ ვილაში“ უნდა გავატარო“ — აღნიშნა ანხელმა.

გერმანულმა „ჰერტამ“, რომელიც ბოლო წლებში ძალიან ამბიციური კლუბია, მიმდინარე სეზონი ერთობ ცუდად ჩაატარა და ბუნდესლიგიდან გავარდნას გადარჩა. თუმცა კლუბის ხელმძღვანელები ამითაც კმაყოფილები არიან და ბერლინელთა თავკაცს ჰან მაიერს შადლობას უხდიან. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა კლუბი გასული წლის დეკემბერში ჩაიბარა. მაშინ „ჰერტა“ ბოლო ადგილზე იყო „გამაგრებული“. „მართალია, სეზონი ჩავაგდეთ, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ბუნდესლიგიდან გავარდნას გადავურჩით“ — განაცხადა ბერლინელთა გენერალურმა მენეჯერმა დიტმარ ჰიონესმა.

უკრაინული „შახტარის“ ხელმძღვანელებმა გუშინწინ ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ ძირითადად ორი კანდიდატი განიხილებოდა, ოლეგ რომანცევი და მირჩა ლუჩესკუ. საბოლოოდ არჩევანი უკანასკნელზე შეჩერდა. „მე დაგპირდით, რომ ახალი მწვრთნელის გვარს 18 მაისს ვიტყოდი. ძალიან მიხარია, რომ კლუბში ისეთი გამოცდილი რუმინელი სპეციალისტი მოვიდა, როგორიც მირჩა ლუჩესკუა. მასთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ“ — განაცხადა დონეცკელთა პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა.

ჩეხმა მცველმა მილან ფუკალმა „ჰამბურგი“ დატოვა, მაგრამ თავისუფალ აგენტად დიდხანს არ დარჩენილა. 29 წლის მცველმა „გლადბახთან“ გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. „ფუკალი დაცვის გასაძლიერებლად გადავიბირეთ. ახლა სწორედ საერთაშორისო თამაშებში გამოცდილი მოთამაშე გვჭირდებოდა“ — განაცხადა „გლადბახის“ პრეზიდენტმა კრისტიან ჰოხსტეიტერმა. აღსანიშნავია, რომ პრაღის „სპარტას“ ყოფილმა მცველმა ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი უქმად გაატარა და სწორედ ეს იქცა „ჰამბურგიდან“ წასვლის ძირითად მიზეზად.

იტალიური „მილანისა“ და კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა შეთანხმდნენ, რომ 2005 წელს მილანელები ვალერი ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირზე ჩავლენ, თანაც ძირითადი შემადგენლობით. გარდა ამისა, დიდი შანსია, მომავალ ტურნირში მონაწილეობა მიიღონ უნგრულმა „ფერენცვაროშმა“, ესპანურმა „ატლეტიკომ“ და გერმანულმა „ბაიერნმა“, კლუბებმა, რომლებიც კიეველებმა თასების თასის (1975, 1986) და ევროპის სუპერთასის (1975) ფინალებში დაამარცხეს.

ჰოლანდია ევრო-2004-ზე

მეკარეები: ვან დერ სარი (ფულემი), ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი), ვესტერფელდი (სოსიედადი)

მცველები: რაიციგერი (ბარსელონა), ჰეიტინგა (აიაქსი), სტამი (ლაციო), ფრაკ დე ბური (რეინჯერსი), ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა), ბოუმა (პსვ ეინდჰოვენი)

ნახევარმცველები: ვან დერ ვაარტი, სნეიდერი (ორივე აიაქსი), დავიდსი (ბარსელონა), ზეედორფი (მილანი), კოკუ (ბარსელონა), ზენდენი (მიდლსბრო), ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი)

თავდამსხმელები: ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი), კლუივერტი (ბარსელონა), ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე), მაკაი (ბაიერნი), ვან დერ მეიდე (ინტერი), ოვერმარსი (ბარსელონა), რობენი (პსვ ეინდჰოვენი)

ბულგარეთი ევრო-2004-ზე

მეკარეები: ივანკოვი (ლევსკი), ზდრავკოვი (ლიტექსი), კოლერი (ცსკა)

მცველები: ივანოვი, კოტევი (ორივე ლოკომოტივი), კირილოვი, ზაგორჩიჩი (ორივე ლიტექსი), სტოიანოვი (ლევსკი), პაჟინი (შახტარი), ივაილო პეტკოვი (ფენერბაჰჩე)

ნახევარმცველები: სტილიან პეტროვი (სელტიკი), მარტინ პეტროვი (ვოლფსბურგი), მილენ პეტკოვი (აიკ), ბორიმიროვი (მიუნხენ 1860), ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი), დიმიტროვი (ცსკა), პეევი (დინამო კიევი)

თავდამსხმელები: ბერბატოვი (ლევერკუზენი), ბოჟინოვი (ლეჩე), მანჩევი (ლილი), ჩილიკოვი (ლევსკი), ლაზაროვი (გაზიანთეფსფორი), იანკოვიჩი (დალიან შიდე)



სმიტის გზა ორი უარი მანჩესტერს

ლიდსელი ალან სმიტის ხელში ჩასაგდებად წამოიწია „ლივერპულმა“, რომელიც ამჯერად სჯობნის „მანჩესტერს“ ამ ფეხბურთელისთვის ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ „ლიდსმა“ მანჩესტერელთა ორ შეთავაზებაზე თქვა უარი. სამშაბათს სერ ალექსმა ჯერ 3,5 მილიონი გირვანქა შესთავაზა იორკშირელებს, მერე 5,5, მაგრამ ორჯერვე სწრაფი უარი მიიღო. „ლიდსის“ აზრით, სმიტი უმაღლესი კლასის ფორვარდია და 10 მილიონი გირვანქა ღირს.

თავად სმიტს „მანჩესტერისკენ“ მიუწევს გული, რის გამოც „ლიდსის“ ფანებმა უსტვინეს კიდეც, ვინაიდან ამ ორი კლუბის გულშემატკივრებს ძველი მტრობა აქვთ. ადრე „ლიდსმა“ რიო ფერდინანდი მიჰყიდა „მანჩესტერს“, ოღონდაც, რიო ლონდონელი იყო, სმიტი კი ლიდსელია და კლუბი მშობლიურად მიაჩნია.

თუმცა „ლიდსში“ ამბობენ, სმიტს სადაც ურჩევნია, იქ წავიდეს, ოღონდ შესაბამის ფასადო.

ირაკლი გამყრელიძე

„ეკიპის“ ცნობა თუ ნაღდია, ეიდურ გუდიონსენს ახალ სეზონში დიდიე დეშანი გაწვრთნის

ფრანგული ვერსია დეშანს ჩელსიში ელიან

აი, საოცრება: თუ ფრანგულ გაზეთებს და სააგენტოებს დავუჯერებთ, „მონაკოს“ თავკაცმა, დიდიე დეშანმა გადაწყვიტა, „იუვენტუსში“ კი არა, „ჩელსიში“ წავიდეს სამუშაოდ. მოგეხსენებათ, აქამდე მხოლოდ ერთი, ურყევი ვარიანტი განიხილებოდა — თუ დეშანი სადმე წავიდოდა, ეს ტურინი უნდა ყოფილიყო

ერთი სიტყვით, გუშინდელ „ეკიპში“ სენსაციური ცნობა გამოქვეყნდა, ფრანგი მწვრთნელი, ფეხბურთელობის დროს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, როგორც „იუვენტუსში“, ასევე „ჩელსიში“ ნათამაშები დეშანი „სტემფორდ ბრიჯზე“ კლაუდიო რანიერის შეცვლისო.

გამოდგს, რომ ამ ვარიანტში „პორტუს“ პატრონი თავკაცი, ჟორ ზე მაურინიუ ლონდონში ადრე ჩამოვა, ხოლო „იუვენტუსი“ [illegible]ჭის თანამდებობა ერთადერთ დარჩენილ კანდიდატს, „პარმას“ ამჟამინდელ თავკაც ჩეზარე პრანდელის დარჩება. აღსანიშნავია, რომ პრანდელიმ „პარმას“ ხელმძღვანელობას ახალი კონტრაქტის ხელმოწერის წინ დასაფიქრებლად დრო სთხოვა.

„ჩემი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად დრო მჭირდება და ეს კლუბის შეფებს კვირას ვუთხარი, თუმცა მინდა ასევე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სხვა რომელიმე კლუბთან ხელშეკრულება არ დამიდია“ — განაცხადა პრანდელიმ.

მოკლედ, მდგომარეობა საკმაოდ რთული და ჩახლართულია, თუმცა, მთავარი უცნაურობა მაინც ის იყო, რითაც დავიწყეთ — დეშანის ამბავი. არ არის გამორიცხული, ეს ხმა ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ ფინალთან იყოს დაკავშირებული. ფინალში ხომ ერთმანეთს „მონაკო“ და „პორტუ“ ხვდებიან, ანუ დეშანი მაურინიუს უპირისპირდება, ხოლო ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ მაურინიუ საყოველთაოდაა „ჩელსის“ მომავალ თავკაცად მიჩნეული.

პაპუნა კედია

საით, ფერნანდო? მორიენტესი ვენგერსაც მოუნდა

„არსენალმა“ გამოაცხადა, რომ 17,5 მილიონი გირვანქის გამლებია ფერნანდო მორიენტესში, თუმცა, ლამაზ ბიჭს, „ჩელსიც“ უმიზნებს.

მორიენტესი, რომელიც მადრიდის „რეალიდან“ „მონაკოშია“ განათხოვრებული და ესპანურ გუნდთან კონტრაქტის ერთი წელი აქვს დარჩენილი, ამბობს: „ვამაყობ, რომ ასეთ გუნდებს ვუნდივარ. ვფიქრობ, „რეალი“ დაფიქრდება“.

ამასობაში კი, მორიენტესმა ფეხი იტკინა „სოშოსთან“ მატჩში და ეგებ ვერც ითამაშოს მომავალ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „პორტუს“ წინააღმდეგ.

ირაკლი გამყრელიძე

„ტოტენჰემის“ დროებითი მენეჯერი დევიდ პლიტი ივლისში კლუბს დატოვებს. პლიტი, რომელიც „ტოტენჰემში“ დირექტორად მუშაობდა და მენეჯერობა გლენ ჰოლდის გადაყენების შემდეგ შეითავსა, დირექტორიც აღარ იქნება და კლუბის საბჭოდანაც გავა.

დევიდ ჰლიტს დირექტორობაც აუკრძალეს

ტოტენჰემი კონტინენტისკენ იცქირება

დირექტორად ინიშნება 80-იანი წლების დანიელი ვარსკვლავი ფრენკ არნესენი, რომელიც აქამდე დიდხანს იყო „ეინდჰოვენის“ ტექნიკური დირექტორი. ამით, „ტოტენჰემის“ პატრონ დენიელ ლევის კლუბში კონტინენტური მართვის სტილის დანერგვა სწადია და მენეჯერსაც, ალბათ, შესაბამისი განწყობისას შეარჩევს.

„კლუბში ჩადებულ ფულის ოდენობას და თამაშის ხარისხს შორის უფსკრულია — თქვა ლევიმ — ამდენი წელია „ტოტენჰემი“ საშუალოთა რიგს ვერ გასცდა. არადა ინვესტიციები ისეთი იყო, დიდ კლუბს რომ ეკადრება“.

ირაკლი გამყრელიძე

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ბაიერნი ოთხი მილიონით დააფრთხეს

სანიოლი ჰიცფელდის ჯუდია

„ბაიერნიდან“ ოტმარ ჰიცფელდის წასვლა უკვე გადაწყვეტილია და კლუბის ბოსები ახლა გუნდისთვის ახალ მწვრთნელს ეძებენ.

აქამდე არაერთხელ ახსენეს ფელიქს მაგათი, რომელსაც „შტუტგარტთან“ კონტრაქტი 2005 წლის 30 ივნისს ეწურება.

მიუნხენელებს მაგათის გადაბირება ამ თვის ბოლოს სურდათ. გერმანული მედიის ცნობით, „შტუტგარტის“ უფროსობამ მწვრთნელის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო მოითხოვა. ული ჰიონესმა კი ლოდინი არჩია და, როგორც ამბობენ, მაგათი სამომავლოდ დაიბევა, ანუ 2005-ში, კონტრაქტის დასრულებისთანავე, „შტუტგარტის“ ამჟამინდელი თავკაცი „ბაიერნს“ ჩაიბარებს.

„ფელიქსი ძალიან ამბიციურია და კარგად მესმის, რომ ქვეყნის საუკეთესო გუნდში მუშაობაზე უარს ვერ იტყვის — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ერვინ სტუდტმა — ჩვენი გზები ალბათ გაიყრება, თუმც მეგობრებად დავრჩებით“.

მიუნხენის „ბაიერნის“ ბოსები პირველ ივლისამდე გაარკვევენ, ვინ იქნება გუნდის მწვრთნელი მომდევნო სეზონში.

მაგრამ გამორიცხული არაა, ყოვლისშემძლე ფრანც ბეკენბაუერის ჩარევით ფელიქს მაგათი მაინც დაიყოლიონ ამ ზაფხულსვე „ბაიერნში“ გადასვლაზე, რადგან „შტუტგარტის“ პრეზიდენტ ერვინ სტუდტს მისი სავარაუდო შემცვლელი სამი კანდიდატი გუშინ დაუსახელებია. მათ შორის არიან გუს ჰიდინკი, მათიას ზამერი და კრასიმირ ბალაკოვი, რომელიც „შტუტგარტში“ მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობს.

„ჰიცფელდმა ძალიან ბევრი გააკეთა გუნდისთვის, მაგრამ რაკი ფეხბურთელების მოტივირებას ვეღარ ახერხებს, ჯობს, რომ შევცვალოთ“ — თქვა ფრანც ბეკენბაუერმა, ხოლო ოლივერ კანი დამრიგებელს გაეტირა: „ყველაფრის უცბად დავიწყება და ჰიცფელდის ასე გაშვება შეურაცხყოფაა. იგი ამას არ იმსახურებს“.

„ბაიერნის“ ფრანგი მცველი ვილი სანიოლიც მწვრთნელთან გამორჩეულად მეგობრობდა და ამიტომ ისიც წასვლას აპირებს: „ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ ოტმარ ჰიცფელდს გაუშვებდნენ, გუნდში არც მე დავრჩები“.

ვაჟა ხუციშვილი



ჰიცფელდი „ბაიერნში“ საათებს ითვლის

მე დავბრუნდები!

ვისენტე დელ ბოსკე: რეალიდან პერესმა და ვალდანომ გამაგდეს

ვასენტე დელ ბოსკემ მადრიდის „რეალს" 2002-03 წლების სეზონში დიდი გამარჯვებები მოუტანა, მაგრამ პრეზიდენტ პერესთან და სპორტულ დირექტორ ვალდანოსთან უთანხმოების გამო, იძულებული შეიქნა, გუნდი დაეტოვებია. მისმა შემცვლელმა, პორტუგალიელმა კეიროშმა კი სრული ფიასკო განიცადა და იქაური ინჩასებიც, ბუნებრივია, ძველ მწვრთნელს ქება-დიდებით მოიხსენიებენ. დელ ბოსკე არ გახლავთ ავმეხსიერებიანი კაცი, როდესმე სამეფო გუნდში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს, თუმც არც „რეალის" ხელმძღვანელთა მაშინდელი უმადურობა ავიწყდება. დელ ბოსკეს კატალონიური „სპორტი" ესაუბრა

— სამწვრთნელო საქმიანობას თითქმის ერთი წლით ჩამოსცილდით. ალბათ, ახლა კარიერის განახლება გსურთ...

— რა თქმა უნდა, მე მწვრთნელი ვარ და რომელიმე გუნდთან თანამშრომლობა აუცილებლად მჭირდება. ჯერჯერობით ჩემი სამომავლო გეგმები გარკვეული არ არის. რამდენიმე წინადადებას განვიხილავ და გადაწყვეტილებასაც ალბათ მერე მივიღებ.

— მადრიდის „რეალში" დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

— მიფიქრია და დავბრუნდები კიდეც, თუმცა სადღეისოდ ეს ძალიან რთული საქმეა.

— ანუ ფლორენტინო პერესის პრეზიდენტობისას „სანტიაგო ბერნაბეუზე" თქვენი დაბრუნება გამორიცხულია?

— ასეა. ფლორენტინოს და მის ხალხს ჩემი გუნდიდან დათხოვნით არაფერი მოუგიათ, პირიქით — „რეალის" წარმატებები შეაფერხეს... მე კი კონტრაქტის გაუქმებაზე მეტად გული პრეზიდენტის უხეშმა გამონათქვამებმა მატკინეს. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო.

— დელ ბოსკე გუნდს მოძველებული მეთოდებით ხელმძღვანელობს, როგორც მწვრთნელი, აშკარად გამოიფიტა და მისი შეცვლაც აუცილებლად მიმაჩნია — თქვენ ალბათ ამ სიტყვებს გულისხმობთ...

— პერესმა ეს ჩემთან დამშვიდობების მერე საჯაროდ განაცხადა. ხომ შეიძლებოდა, „რეალთან" ამდენწლიანი ურთიერთობის შემდეგ ჩემთან გამოთხოვება ოდნავ სხვანაირი ყოფილიყო? არადა, პრეზიდენტის მოსაზრება აშკარად არასწორი გახლდათ.

— ამბობენ, ხორხე ვალდანომაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის უთანხმოების ჩამოგდებაშიო, ამაზე რას იტყვით?

— ყველაფერი იმიტომ გააკეთეს, რომ „რეალთან" ერთად მე-10 ევროპული თასი არ მეზეიმა. ისინი ჩემს ჩაძირვას ცდილობდნენ და ამას მიაღწიეს კიდეც. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ზურგში ხანჯალი ჩაერტყათ. რა გაეწყობა, ზოგჯერ ხალხი ასეც იქცევა ხოლმე.

— ვალდანო ახლაც იმუქრება, როდესაც „რეალიდან" წავალ დელ ბოსკეს შესახებ სრულ სიმართლეს საქვეყნოდ ვიტყვიო...

— რაც უნდა ის ილაპარაკოს. გამოგიტყდებით, ვალდანოს მუქარა აბსოლუტურად არ მაღელვებს. საერთოდ, არც კი ვიცი, რას გულისხმობს. თუ სათქმელი ჰქონდა, აქამდე ეთქვა. ბავშვური საქციელია და მეტი არაფერი.

— „რეალის" დამრიგებლობისას თქვენ სარეზერვო გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავდით, ახლა კი კანტერაში მძიმე ვითარებაა...

— არც ტრაბახით და არც ნიშნის მოგებით არ ვამბობ, მაგრამ „რეალმა" ძალიან წააგო დელ ბოსკეს დათხოვნით. პირადად და ძვე- თადარიგო შემადგენლობებთან ჩემი თანაშემწეებით დავხმარებით. მართალია, არც ისე თვალში საცემი, მაგრამ მაინც უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. სხვა გუნდების თამაშებს ვუყურებდით, სათადარიგოს ბიჭებს ვაკვირდებოდით, ვცდილობდით, სწორად განგვესაზღვრა, პირველ შემადგენლობაში ვინ უნდა გადმოსულიყო. ახლა „რეალში" ასეთს ვერაფერს ვამჩნევ. სამწუხაროა, რომ ფლორენტინოს და ვალდანოს შეცდომებს გუნდის ინტერესები შეეწირა.

— ფერნანდო მორიენტესს როგორ შეაფასებდით? „ბერნაბეუზე" მეტოქეთა რისხვა იყო, ახლა „მონაკოშია" და ჩემპიონთა ლიგის მოგებამდე ერთი ნაბიჯი აკლია...

— ძალიან მიხარია, მორიენტესის საქმეები ასე კარგად რომ წარიმართა. დიდებული ფეხბურთელი და ამასთან კარგი ადამიანიცაა. „ელ მორო" „რეალს" ადრე საჩემპიონთალიგო ბრძოლებში ძალიან დაეხმარა, ლიგის წლევანდელ ფინალში კი პრაქტიკულად მარტომ გაიყვანა „მონაკო"... ფერნანდო დიდი ჯილდოების მოსაპოვებლადაა დაბადებული და დარწმუნებული ვარ, ფრანგებსაც „პორტუსთან" შეხვედრაში ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს.

— როდესაც სამეფო გუნდს წვრთნიდით, ცალკეულ ფეხბურთელებთან უხეშ დამოკიდებულებას გაბრალებდნენ. ძნელია, „რეალის" ვარსკვლავებთან ურთიერთობა?

— ოთხი წელიწადი ვიყავი „რეალის" დამრიგებელი და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ვცდილობდი, შიდასაგუნდო პრობლემები კლუბის, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების სასარგებლოდ გადამეჭრა. სისულელეა ჩემს უხეშობაზე ლაპარაკი. როგორც უკვე გითხარით, ყველაფერი გააკეთეს, რათა დელ ბოსკე მადრიდის „რეალის" მწვრთნელი აღარ ყოფილიყო.

ასწლოვანი ფიფა

სანტინიმ იუბილეზე ბრაზილია ინატრა

ზეგ ფიფას დაარსებიდან საუკუნე შეუსრულდება. ამასთან დაკავშირებით პარიზში ჰალსტუხიანი ჩინოვნიკების ყეენობა, დღეს კი საფრანგეთ — ბრაზილიის ამხანაგური მატჩი გაიმართება.

გუნდები პირველ ტაიმში ძველებური ტრუს-მაისურებით ითამაშებენ.

„ევრო 2004-ის დაწყებამდე ბრაზილიაზე უკეთეს მეტოქეს ვერც ვინატრებდი ნაკრების შესამოწმებლად — თქვა სანტინიმ — ფეხბურთელებს მოტივაციის ძებნა არ დასჭირდებათ".

„ეს წლის მატჩია — აღნიშნა კარლოს ალბერტო პარეირამ — რომელშიც ბოლო ორი მუნდიალის ჩემპიონები დაეჯახებიან".

ლუდოვიკ ჟიული და ჟერომ როტენი კლერფონტენის ბაზიდან შინ გაუშვეს. „მონაკოს" მოთამაშეებს მომავალ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელით.

ფაბიენ ბარტეზმა და სტივ მარლემ გუშინ გიოტებორგში „მარსელისთვის" ითამაშეს, მიკელ სილვესტრის „მანჩესტერს" კი ასოციაციის თასის ფინალი ელის.

„ბაიერნის" ფრანგები, ბიქსენტ ლიზარაზუ და ვილი სანიოლი ბუნდესლიგის ბოლო ტურისთვის ემზადებიან, ამიტომ დღეს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან.

23-კაციან გუნდში, რომელიც ჟაკ სანტინიმ ევრო 2004-ისთვის გამოიძახა, იოან მიკუ ვერ მოხვდა. გერმანიის ჩემპიონი, ბრემენის „ვერდერის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გაოგნებულია: „არ მესმის, რატომ მიგანა მწვრთნელმა. ყოველთვის მაიმედებდა და ბოლოს ნაკრებს მიღმა დამტოვა, არც კი მსურს, მიზეზი ვკითხო".

ჟაკ სანტინი

ბრიუკნერის ერთით მეტი ჩეხეთი

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა კარელ ბრიუკნერმა 24 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორისაა „ბანიკის" 23 წლის ფორვარდი მიროსლავ მატუსოვიჩი, რომელსაც ეროვნულ გუნდში პირველად უხმეს.

ჩეხები 24 მაისიდან ავსტრიის ქალაქ ზეეფელდში შვიდდღიან შეკრებაზე გადავლენ. ერთი კვირის შემდეგ კი ბრიუკნერი ნაკრების შემადგენლობას 23-მდე შეამცირებს, თუმც მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მატუსოვიჩს ადგილი გარანტირებული აქვს. მან სეზონში 10 გოლი გაიტანა და თანაგუნდელ მარეკ ჰეინცთან ერთად ევრო 2004-ზე გაემგზავრება. ჰეინცი, რომელიც ასევე „ბანიკის" თავდამსხმელია, 19 გოლით ჩეხეთის ბომბარდირი გახდა.

მარეკ ჰეინცი

მეკარეები: ბლაჟეკი (სპარტა), ჩეხი (რენი), კინსკი (სატურნი)

მცველები: ბოლფი (ბანიკი), გრიგერა (აიაქსი), ჰუბშმანი (სპარტა), იანკულოვსკი (უდინეზე), ჟირანეკი (რეჯინა), მარეში (ზენიტი), როზენალი (ბრიუგე), უიფალუში (ჰამბურგი)

ნახევარმცველები: გალაშეკი (აიაქსი), ნედვედი (იუვენტუსი), პლასილი (მონაკო), პობორსკი (სპარტა), როსიცკი (დორტმუნდი), შმიცერი (ლივერპული), ტიისე (მიუნხენ 1860), ვახოუშეკი (მარსელი)

თავდამსხმელები: ბაროში (ლივერპული), ჰეინცი, მატუსოვიჩი (ორივე ბანიკი), კოლერი (დორტმუნდი), ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი)

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ეუსებიო

1960 წლის ზაფხულში ბრაზილიური გუნდი „ფეროვიარიო“ აფრიკიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. გუნდს სათავეში კარლოს ბაუერი ედგა — ბრაზილიის ნაკრების ოდინდელი ნახევარმცველი. „ფეროვიარიო“ აფრიკაში კომერციულ ტურნეზე გახლდათ, ხოლო მარშრუტი ისე ჰქონდა შერჩეული, რომ გზად პორტუგალიაში ჩერდებოდა. ლისაბონში ბაუერმა ძველ მეგობარს, ბენფიკელ ბელ გუტმანს შეუარა. დიდი ხნის უნახავებმა ფეხბურთზე ლაპარაკით იჯერეს გული და სწორედ მაშინ უთხრა ბაუერმა გუტმანს — მოზამბიკის „სპორტინგში“ ვნახე დიდებული ბიჭი. მე ის არ გამომადგება, ბრაზილიაში ეგრე ხომ ბევრი თამაშობს, აი, შენ კი ნამდვილად გირჩევდი, ჩასულიყავი და გენახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ჰქვია არავინ

როგორ მოიტაცა გუტმანმა ეუსებიო ლისაბონის აეროპორტში

— ვინ არის? — ჰკითხა გუტმანმა.

— არავინ. ასე ეძახიან „სპორტინგში“.

... ეუსებიო ფერეირა და სილვა დაიბადა 1942 წლის 25 იანვარს ღარიბ, რვაშვილიან ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა, დედას კი ოჯახის რჩენა უჭირდა. ერთი სიტყვით, ბავშვები იმ ქალაქის ქუჩებს იყვნენ მინდობილნი, რომელსაც მაშინ ლორენსუ-მარკიში ერქვა, დღეს კი მაპუტუ ჰქვია და მოზამბიკის დედაქალაქი გახლავთ. ეუსებიო დილიდან საღამომდე ჭინჭის ბურთს დასდევდა.

მეორე მხრივ, თქმა იმისა, რომ ეუსებიო მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობდა, არ იქნებოდა მართალი. ის ფრენბურთსაც გვარიანად გაეჩვია, ხოლო მძლეოსნობაში არც მეტი, არც ნაკლები, მოზამბიკის ჩემპიონი გახდა. და მაინც, ფეხბურთმა მისი თავი სხვა სახეობებს არ დაუთმო — ეუსებიო „სპორტინგში“ აიყვანეს. მალე ლორენსუ-მარკიშში პორტუგალიური ლისაბონის „სპორტინგი“ ჩავიდა და ბუნებრივია, თუ ვინმეს თვალი დაადგა, პირველ რიგში, ჩვენი წერილის მაშინ ახალგაზრდა გმირს, მაგრამ დედას ვაჟთან განშორების გაგონებაც არ უნდოდა, სანამ... ლისაბონელებმა 10 ათასი ამერიკული დოლარი არ ამოაძვრინეს საფულედან.

ასე და ამგვარად, ყველაფერი დალაგდა, ეუსებიომ ახალ „სპორტინგს“ ხელი ხელს დაუკრა და დანიშნულ დღეს ლისაბონისკენ მიმავალ თვითმფრინავშიც ჩაჯდა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენი ხანი უნდა თვითმფრინავს ყოფილი ლორენსუ-მარკიშიდან ლისაბონამდე, მაგრამ, როდესაც საჰაერო ტრანსპორტი მეტროპოლიის დედაქალაქში დაეშვა და მოზამბიკელი ამომავალი ვარსკვლავი ტრაპზე ჩავიდა, ვიღაც კაცებმა ხელი დასტაცეს და საღლაც გააქანეს. თურმე ნუ იტყვით, ზემოთ რომ ბენფიკელი ბელ გუტმანი ვახსენეთ, ეუსებიოს თამაში იმ დროისთვის შესწავლილი ჰქონია და მტკიცედ გადაუწყვეტია, მას და მის კლუბს ახალგაზრდა აფრიკელი არავისთვის დაეთმოთ. ერთი სიტყვით, „ბენფიკამ“ „სპორტინგს“ ეუსებიო აეროპორტში ააცალა ცხვირწინ. ბუნებრივია, ატყდა ხმაური, მაგრამ ბენფიკელებმა გავლენა და ნაცნობობა, ალბათ, ფულიც დაატრიალეს და... მომავალი ვარსკვლავიც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წევრი გახდა.

გუტმანის მოგონებებიდან: „გადავწყვიტე, ბიჭი რაც შეიძლება ხშირად შემეშვა მოედანზე. მის წინაშე მკაცრად დამუშავებულ ამოცანებს არ ვსვამდი, თვითონ უნდა მოეძებნა თანაგუნდელებთან საერთო ენა. ვინ იცის, სწორედ ამიტომაც შეინარჩუნა ეუსებიომ პირვანდელი, ორიგინალური სტილი იმ გუნდში, რომელსაც საკმაოდ მკაცრი ტაქტიკური სქემით ვათამაშებდი“.

სხვები იგონებენ, რომ თავიდან ეუსებიოს გაუჭირდა და ერთი ხნის განმავლობაში საკმაოდ დაბნეული დარბოდა აქეთ-იქით, მაგრამ მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. აი, მაგალითისთვის მოვიგონოთ ლეგენდარული მატჩი „ბენფიკასა“ და ბრაზილიურ „სანტოსს“ შორის. „სანტოსში“, მოგეხსენებათ, პელე თამაშობდა.

პირველი ტაიმი ბრაზილიელებმა 5:0 მოიგეს. მეორე ნახევარში გუტმანმა მოედანზე ეუსებიუ შეუშვა და დაიწყო: ლისაბონელების ახალმა თავდამსხმელმა 20 წუთში სამი გოლი გაიტანა. რას არ აკეთებდა, რა მდგომარეობიდან და კუთხიდან არ არტყამდა კარში... საბოლოოდ „სანტოსმა“ 6:3 კი მოიგო, მაგრამ ეუსებიოსთან დაკავშირებით ყველასთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო.

სხვათა შორის, შემდეგ, როდესაც ეუსებიოს პელესთან შედარება მოდაში შემოვიდა, თავად ეუსებიო ჩვენს მიერ ახლა ნახსენებ მატჩს იგონებდა და ამბობდა:

„პელესთან შედარება საპატიოა, მაგრამ გადაჭარბებული. მე მის წინააღმდეგ ერთხელ ვითამაშე და მახსოვს, ფეხები მიკანკალებდა, როდესაც ვუყურებდი ბურთს რას უშვრებოდა“.

1962 წელს, ამსტერდამში, ჩემპიონთა თასის ფინალი შედგა: „ბენფიკა“ — „რეალი“. „რეალი“ „ბენფიკას“ ჯაბნიდა, ალალად რომ ვთქვათ, ყველაფრით სჯობდა, სანამ ეუსებიომ ხერხს არ მიაგნო: რომ დაინახა გუნდურობით არაფერი გამოდიოდა, თავი დააღირა და... 5:3 მოიგო. თავად ორი გაიტანა.

სხვათა შორის, სწორედ ეს იყო მთავარი განსხვავება ეუსებიოსა და პელეს შორის. ეუსებიო გაცილებით ინდივიდუალისტი იყო, პელე კი უფრო გუნდური მოთამაშე.

და საინტერესოა, რომ 1966 წელს, ინგლისში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბევრი ამ ორი ვარსკვლავის დიდ დაპირისპირებას ელოდა. აი, საქვეყნო შეჯიბრება, დაე, მთელი მსოფლიოს თვალწინ გაირკვეს, ვინ უფრო კაშკაშებს, პელე თუ ეუსებიო — ამბობდნენ ქომაგები... პორტუგალიაში მაინც. მაგრამ დიდი დაპირისპირება არ შედგა: პელე ჩემპიონატის დასაწყისშივე დაამტვრიეს და ბრაზილია გავარდა.

რაც შეეხება პორტუგალიას, იგი ნახევარფინალში ჩემპიონატის მასპინძელთან დამარცხდა, ხოლო მესამე ადგილისთვის შეხვედრაში საბჭოთა კავშირს მოუგო.

ჰო, მართლა, არ გამოგვრჩეს. მანამდე, 1965 წელს ეუსებიო „ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

შემდეგ რა? შემდეგ იყო დიდებული გოლები, ფინტები, ბრწყინვალება და... ტრავმები, ტრავმები, ტრავმები. ერთ-ერთი საშინელი ტრავმის შემდეგ ექიმებს დიდი გარჯა დასჭირდათ, რათა ეუსებიო ფეხზე დაეყენებინათ და მოედანზე დაებრუნებინათ. დაბრუნებულმა ეუსებიომ შეტევაში, წინა თავდამსხმელად თამაში ველარ შეძლო და ამიტომ უკან, გამთამაშებლად დასწიეს, რაც, სხვათა შორის, სულაც არ იუცხოვა და ახალ ამპლუას დიდებულად აუღო ალღო, მაგრამ... ისევ სასტიკად დაეჯახნენ და დაამტვრიეს.

ერთი სიტყვით, ეუსებიომ გარკვეული გაგებით ხელი ჩაიქნია და ამერიკაში წავიდა ნება-ნება ბურთაობით ფულის საშოვნელად. იშოვნა კიდეც. იყო კანადასა და მექსიკაშიც, შემდეგ კი შინ დაბრუნდა.

— რას ფიქრობთ, როდესაც „ლუჟის“ სტადიონზე საკუთარი ძეგლის გვერდით ჩაივლით ხოლმე? — ეკითხებიან ეუსებიოს.

— ბრინჯაოს ეუსებიო კვარცხლბეკზე კი არ დგას სხვა ძეგლებივით, პირდაპირ გაზონზეა, იმიტომ, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივი პორტუგალიელი — პასუხობს „შავი პანტერა“ ან თუ გნებავთ „შავი მარგალიტი“.

ისე, ამ ჩვეულებრივ ადამიანს ერთხელ ლისაბონის აეროპორტში ჯიბიდან ყველაფერი ამოაცალეს. ვერ იცნეს და იმიტომ, თუ იცნეს და სწორედ იმიტომ, ვერ გეტყვით.

პაპუნა კედია



სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები								
20 მაისი								
23.45	025	ბრაიტონი-სუინდონი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები								
20 მაისი								
23.45	027	მენსფილდი-ნორთჰემპტონი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური								
22 მაისი								
18.30	003	მიონხენგლადბახი-მიუნხენი	2,4	3,6	2,25	1,44	1,16	1,38
18.30	004	კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი	2,6	3,0	2,4	1,39	1,24	1,33
18.30	005	ვოლფსბურგი-შალკე	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
18.30	006	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
18.30	007	ჰანზა-ვერდერი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.30	008	ჰერტა-კიოლნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.30	009	ბოხუმი-ჰანოვერი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
18.30	010	ჰამბურგი-აინტრახტი	2,3	3,6	2,3	1,4	1,15	1,4
18.30	011	ბაიერნი-ფრაიბურგი	1,15	5,6	12,5	1	1,05	3,86
გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური								
23 მაისი								
18.00	028	აუე-უნტერჰახინგი	2,35	2,35	3,2	1,17	1,35	1,35
18.00	029	ფიურტი-ლიუბეკი	2,4	3,5	2,0	1,42	1,09	1,27
18.00	030	არმინია-დუისბურგი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	031	ბურგჰაუზენი-უნიონი	1,55	3,0	6,0	1,02	1,23	2
18.00	032	მაინცი-ტრირი	1,25	4,6	7,5	1	1,07	2,85
18.00	033	კოტბუსი-რეგენსბურგი	1,5	4,2	4,2	1,1	1,1	2,09
18.00	035	ალენი-ნიურნბერგი	1,7	3,4	3,5	1,13	1,14	1,72
18.00	036	კარლსრუე-ალემანია	2,3	3,4	2,3	1,37	1,15	1,37
ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური								
23 მაისი								
21.00	012	ვალენსია-ალბასეტე	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	013	სევილია-ოსასუნა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
21.00	014	ბილბაო-ატლეტიკო	2,2	3,4	2,5	1,33	1,17	1,44
21.00	015	სარაგოსა-ბარსელონა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
21.00	016	რასინგი-დეპორტივო	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
21.00	017	სელტა-მალიორკა	1,4	4,0	5,0	1,03	1,09	2,22
21.00	018	ესპანიოლი-მურსია	1,25	5,0	8,0	1	1,08	3,07
21.00	019	რეალი-სოსიედადი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
21.00	020	მალაგა-ბეტისი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
21.00	021	ვალიადოლიდი-ვილიარეალი	3,0	3,6	1,75	1,63	1,1	1,17

			1	X	2	1-X	1-2	X-2
საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური								
21 მაისი								
23.30	084	ბორდო-მონაკო	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
23 მაისი								
23.00	085	აიაჩო-მეცი	1,35	3,6	6,5	1	1,11	2,31
23.00	086	ბასტია-პსჟ	2,9	2,7	2,4	1,39	1,31	1,27
23.00	087	ლე მანი-ლანსი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
23.00	088	ლიონი-ლილი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
23.00	089	მარსელი-გენგამი	2,2	3,3	2,0	1,32	1,04	1,24
23.00	090	ნანტი-სოშო	2,45	3,0	2,7	1,34	1,28	1,42
23.00	091	ნიცა-ოსერი	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
23.00	092	რენი-მონპელიე	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
23.00	093	სტრასბური-ტულუზი	3,3	3,2	1,85	1,62	1,18	1,17
ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი								
20 მაისი								
23.00	115	ტუბეკე-გეელი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.00	116	რუზელარე-ოსტენდე	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
ავსტრია. ბუნდესლიგა. XXXVI ტური								
20 მაისი								
20.00	120	ადმირა-გრაცერი	2,35	3,2	2,5	1,35	1,21	1,4
20.00	121	აუსტრია-კერნტენი	2,0	3,6	2,0	1,28	1	1,28
20.00	122	პაშინგი-მატერსბურგი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
20.00	123	ზალცბურგი-რაპიდი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
20.00	124	შტურმი-ბრეგენცი	1,25	4,0	7,5	1	1,07	2,6
ავსტრია. I დივიზიონი. XXXVI ტური								
21 მაისი								
22.00	126	ბლაიბერგი-უნტერზიბენბრიუნი	2,4	3,2	2,3	1,37	1,17	1,33
22.00	127	ლუსტენაუ-კაფენბერგი	2,3	3,2	2,5	1,33	1,19	1,4
22.00	128	ლინცერი-ტიროლი	2,4	3,2	2,3	1,37	1,17	1,33
22.00	129	ლეობენი-აუსტრია(ლ)	2,25	3,1	2,7	1,3	1,22	1,44
22.00	130	ვიორგლი-რიდი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37
შვეიცარია. სუპერლიგა. XXXVI ტური								
22 მაისი								
20.30	131	სტ.გალენი-სერვეტი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
23.15	132	ბაზელი-იანგ ბოიზი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
23 მაისი								
19.15	133	თუნი-ვილი	1,4	4,0	5,0	1,03	1,09	2,22
19.15	134	ქსამაქსი-გრასჰოპერი	2,3	3,3	2,7	1,35	1,24	1,48
19.15	135	ციურიხი-აარაუ	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა. VIII ტური						
		20 მაისი						
20.00	167	იორგრიტე-ტრელებორგი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
		შვედეთი. ალსვენსკა. VI ტური						
		20 მაისი						
20.00	169	სუნდსვალი-ჰამარბი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26
		შვედეთი. სუპერეტა. VI ტური						
		20 მაისი						
22.00	180	ფალკენბერგი-გაის	3,0	3,4	2,05	1,59	1,21	1,27
		ნორვეგია. ტიპელიგა. VII ტური						
		20 მაისი						
21.00	190	ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	191	ტრომსიო-მოლდე	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.00	192	სოგნდალი-ვიკინგი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
21.00	193	ჰამარი-ფრედრიკსტადი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
21.00	194	ბოდიო გლიმტი-ლინი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
23.05	195	სტაბეკი-ბრანი	2,45	3,3	2,45	1,4	1,22	1,4
		ნორვეგია. I დივიზიონი. VII ტური						
		20 მაისი						
21.00	207	ალესუნდი-ტრომსდალენი	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.00	208	ჰაუგესუნდი-ჰიოდი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
21.00	209	ჰიონეფოსი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,6	4,0	4,2	1,14	1,15	2,04
21.00	210	კონგსვინგერი-რაუფოსი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
21.00	211	მოსი-ბრინი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
21.00	212	სკეიდი-მანდალი	2,15	3,6	2,6	1,34	1,17	1,5
21.00	213	სტარტი-სანდეფიორდი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
21.00	214	სტრიომსგოდსეტი-პორს გრენლანდი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. IV ტური						
		20 მაისი						
16.00	227	ჰიკ-ჰაკა	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
20.00	228	ჯაზი-ჰაამეენლინა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
20.30	229	ლაჰტი-კტპ	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
20.30	230	იარო-მიუპა	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
20.30	231	ტპ 47-ინტერი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.30	232	ტურკუ-ალიანსი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. II ტური						
		20 მაისი						
19.00	244	აკრანესი-გრინდავიკი	1,65	3,3	4,6	1,1	1,21	1,92
19.00	245	ვესტმანაეიარი-ფრამი	1,95	3,3	3,2	1,22	1,21	1,62
00.15	246	კეფლავიკი-რეიკიავიკი	2,8	3,2	2,2	1,49	1,23	1,3

			1	X	2	1-X	1-2	X-2
00.15	247	ფილკირი-ჰაფნარფიორდური	2,1	3,2	3,0	1,26	1,23	1,54
		21 მაისი						
01.00	248	ვიკინგური-აკურეირი	2,45	3,1	2,45	1,36	1,22	1,36
		ირლანდია. პრემიერლიგა. XII ტური						
		21 მაისი						
23.45	252	კორკი-ლონგფორდი	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
23.45	254	შემროკი-დერი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		პოლონეთი						
		I ლიგა. XXIV ტური						
		21 მაისი						
23.00	316	ლეჩნა-ვისლა	5,6	3,8	1,4	2,26	1,12	1,02
		22 მაისი						
22.00	317	ოდრა-გურნიკი	1,8	3,0	3,8	1,12	1,22	1,67
22.00	318	პოლონია-პოლკოვიცე	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	319	სვიტი-ლეხი	1,6	3,6	3,0	1,1	1,04	1,63
22.00	320	კატოვიცე-ამიკა	2,8	2,5	2,3	1,32	1,26	1,19
23.00	321	გროცლინი-ლეგია	2,8	2,9	2,4	1,42	1,29	1,31
		23 მაისი						
18.00	322	ვიძევი-პლოცკი	2,0	3,4	2,3	1,25	1,06	1,37
		ურუგვაი. პრიმერა. XI ტური						
		20 მაისი						
23.30	372	პენიაროლი-მირამარი	1,4	4,0	6,5			
		მექსიკა. კლაუსურა						
		20 მაისი						
06.00	384	კრუს ასული-პაჩუკა	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		ინგლისი. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
18.00	002	მანჩესტერი-მილუოლი	1,28	4,6	10,0	1	1,13	3,15
		შოტლანდია. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
19.00	410	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	5,0	1,25	3,21	1,09	1
		ჰოლანდია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
21.00	411	ტვენტე-უტრეხტი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ბელგია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19.00	412	ბევერენი-ბრიუგე	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05
		ავსტრია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19.30	413	გრაცერი-აუსტრია	2,6	3;1	2,45	1,41	1,26	1,36

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5402 მანჩესტერი-მილუოლი ---------- 1,25 ---------- 3,7

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------- კი ---------- არა

5302 მანჩესტერი-მილუოლი ---------- 1,75 ---------- 1,85

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5102 მანჩესტერი-მილუოლი	1,5	15,0	40,0	3,5	6,0	18,0	20,0	17,0	17,0

I ტაიმის შედეგი

5002 მანჩესტერი-მილუოლი	1,4	3,3	8.0	1	1.19	2,33

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5202 მანჩესტერი-მილუოლი ---------- 2,1 ---------- 1,55

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
5502 მანჩესტერი-მილუოლი	3,0	2,8	2,0

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		დანია. თახ. ფინალი						
		20 მაისი						
18.00	414	ოლბორგი-კოპენჰაგენი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
		შვედეთი. თახ. III ეტაპი						
		20 მაისი						
20.00	417	იორებრო-მალმიო	3,1	2,2	2,1	1,28	1,25	1,07
21.00	418	ნორჩიოპინგი-კალმარი	3,2	3,3	2,0	1,62	1,23	1,24
		ლიბერტადორესის თახი						
		20 მაისი						
03.30	429	რივერ პლეიტი-დეპორტივო	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
05.45	430	სან კაეტანო-ბოცა ხუნიორსი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
		ამხანაგური მატჩები						
		20 მაისი						
19.00	451	საფრანგეთი-ბრაზილია	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
		21 მაისი						
14.30	452	ავსტრალია-თურქეთი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
		თახის ადება						
		22 მაისი						
18.00	7002	მანჩესტერი-მილუოლი	1,1	5,0				
		ჰოკეი. NHL						
		20 მაისი						
04.30	1004	ფილადელფია-ტამპა ბეი	1,9	3,5	3,1	1,23	1,17	1,64
		კალათბურთი. იტალია						
		20 მაისი						
23.30	1056	ნაპოლი-სკავოლინი	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
		კალათბურთი.ესპანეთი						
		20 მაისი						
23.30	1071	ტაუ-ესტუდიანტესი	1,2	10,0	3,2	1,07	1	2,42
		21 მაისი						
23.30	1072	ბარსელონა-უნიკახა	1,2	10,0	3,2	1,07	1	2,42
		კალათბურთი. NBA						
		20 მაისი						
04.00	1095	დეტროიტი-ნიუ ჯერსი	1,35	10,0	2,8	1,18	1	2,18

ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი 12.00

8001 გამარჯვებული		8201 ეძებსეული		8301 უსწრ. ორეული ერთნული ბიგ-ოლიოთეკა
მ.შუმახერი	1,45	1,07	1,03	1,6
ბარიჩელო	6,0	1,65	1,1	4,0
მონტოია	6,0	1,65	1,1	4,0
რ.შუმახერი	15,0	3,5	1,2	8,0
კულტჰარდი	30,0	6,0	1,4	15,0
რაიკონენი	30,0	6,0	1,4	15,0
ტრული	18,0	4,0	1,2	9,0
ალონსო	12,0	2,3	1,15	7,0
ბატონი	6,0	1,55	1,1	4,0
სატო	35,0	7,0	1,55	20,0
ფიზიჩელა	100,0	25,0	3,5	40,0
მასა	150,0	30,0	4,0	50,0
‘უებერი	75,0	12,0	2,3	30,0
კლიენი	150,0	30,0	4,0	50,0
და მატა	150,0	30,0	4,0	50,0
პანისი	150,0	30,0	4,0	50,0
ჰაიდფელდი	300,0	50,0	7,0	75,0
პანტანო	300,0	50,0	7,0	75,0
ბრუნი	500,0	100,0	12,0	100,0
ბაუმგარტნერი	500,0	100,0	12,0	100,0

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		21 ივნისი						
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
		22 ივნისი						
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

დინამომ იჩუბინა ბრაიკოვიჩი მეორე ქართულს მიუახლოვდა

ბასკო 1:2 დინამო

19 მაისი. ვერის ბაღი

დინამო 77:56 ბასკო

21:14 18:21 15:17 23:4

დინამო: ჟღენტი (14), ხოშტარია (15), კეიდია (11), კილაძე (4), მუშკუდიანი; გოგობერიშვილი (16), ბეჟანიშვილი (8), გამყრელიძე (5), მინაშვილი (3), ჩუბინიძე (1), აბულაძე, ლოსაბერიძე
ბასკო: ი. ბერიშვილი (8), ბ. ბერიშვილი (6), ბოისა (2), ტუჯანი (4), ბერძენიშვილი (11); დ. ბერიშვილი (10), კეშელავა (7), როდუმტა (5), იმნაძე (2), მაისურაძე (1), კვიმსაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

დინამოელი არჩილ ჟღენტი ბასკოელ ანატოლი ბოისას გაურბის

ბედის ანაბარა დარჩენილმა „ბასკომ“ მთელი ჯიგრით იბრძოლა, წელებზე ფეხი დაიდგა, მაგრამ მისი მონდომება მხოლოდ სამ მეოთხედს გასწვდა. ბათუმელებმა ტოლი არაფერში დაუდეს ჩემპიონს, დინამოელები გვარიანადაც ანერვიულეს, მაგრამ ბოლო ათწუთეულში გატყდნენ და ფინალურ სერიისთვის შეუფერებელი ანგარიშით წააგეს.

„დინამომ“ დამსახურებულად გაიმარჯვა და საჩემპიონო გვირგვინის შენარჩუნებამდეც ერთი ნაბიჯიღა დარჩა. მატჩი, უფრო კი მისი საწყისი 3 მეოთხედი, მეტად აზარტული და საინტერესო გამოვდა, მწვრთნელთა ტაქტიკური ჭიდილი თვალში საცემი იყო, თუმც ბოლო ათწუთეულში „ბასკო“ მოიშალა და თამაში ულიმლამო ბურთაობაში ჩამთავრდა.

„ბასკო“ თავმდანვე ფარს მიეძალა. გამოჯანმრთელებული ჟოლივეტ ტუჯანი დავით ბერძენიშვილის მხარდამხარ ლამობდა „დინამოს“ სამწამიანში გაბატონებას. ბათუმელებმა ეს ნაწილობრივ მოახერხეს, მაგრამ სამაგიეროდ უკანა ხაზში აშკარად დაიჩაგრნენ.

საწყის მეოთხედში მეტოქეები ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ თუ ზღვისპირელები ფარქვეშიდან ხეირობდნენ, დინამოელებს ქულების გროვების იარაღად სწრაფი გარღვევები შეერჩიათ. ამ საქმეში თავი გამოიჩინა დინამოელმა ირაკლი ხოშტარიამ, რომელმაც არაერთი 2-ქულიანი გარღვევა განახორციელა და როცა ირაკლი კეიდიამაც შეაშველა ხელი, ათწუთეულის მიწურულს ჩემპიონებმა რიგიანი ლიდერობა მოიპოვეს — 21:14.

მცირე შესვენების შემდეგ ბათუმურმა მზემ გამოანათა და ვერის ბაღში „ბასკოს“ ხელსაყრელი ამინდი დადგა. ზღვისპირელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა რადიკალურად შეცვალა სათამაშო სქემა, ტყუპი ცენტრი და ტყუპი გამთამაშებელი გამოიყვანა. ძმებ ბერიშვილებს ძირითადად შორი სროლების განხორციელება ევალებოდათ და შიგადაშიგ ბურთის „ღრმაგ კოშკამდე“, ბერძენიშვილ-როდუმტას ტანდემამდე მიტანაც.

თავის მხრივ „დინამოს“ მესაჭემაც მოახდინა გუნდში გადაადგილებები. მოედანზე სნაიპერები — რამაზ გოგობერიშვილი და ვაკო ბეჟანიშვილი გამოჩნდნენ, თუმც რატომღაც ბათუმურმა არტილერიამ უფრო გაამრთლა, დინამოელებს კი ბითუმად აუცდათ სამქულიანები. ამის მთავარი მიზეზი „ბასკოს“ გამართული ზონური დაცვა იყო, რომელიც ელვისებურად ტრანსფორმირდებოდა შემტევ იარაღად და „დინამოს“ უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა.

დინამოელთა თავკაცი გამოსავალს ეძებდა, მაგრამ მეორე მეოთხედის საწყის ნახევარში ვერაფრით მიაგნო. მოედანზე გამოსულმა ზურაბ ჩუბინიძემ ვერ შეაკავა ბათუმელი მაღლები, თუმც როგორც ბოლოს აღმოჩნდა, სწორედ ჩუბინიძის შეუპოვრობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი დინამოელთა გამარჯვებაში... მოკლედ, „ბასკომ“ 11:0 მოიგო მეორე ათწუთეულის პირველ ნახევარი და 4 ქულით გალიდერდა — 25:21.

დინამოელებმა ბოლოს და ბოლოს „ბასკოს“ დაცვით ნაგებობასაც უპოვეს ნაპრალი, რომელიც პირველად რამაზ გოგობერიშვილმა აღმოაჩინა და შემდეგ დანარჩენმა დინამოელებმა გვარიანად გააფართოვეს. გოგობერიშვილმა მეტად საჭირო სამქულიანები მიითვალა ტაიმის მიწურულს, მას, როგორც იქნა, ბეჟანიშვილიც გამოეხმაურა და დიდ შესვენებაზე დინამოელები ოთხქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 39:35.

მესამე მეოთხედშიც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, ოღონდ ბოლოს „დინამო“ უფრო დაზარალებული დარჩა, ჩემპიონთა ცენტრმა დავით მუშკუდიანმა მეოთხედ დაჯარიმება ვერ აიტანა და მეხუთე, ტექნიკურიც დაიმსახურა. 4 ჯარიმა დაუგროვდა „დინამოს“ მეორე მეფარე ვალერი კილაძესაც, რომელიც, ცხადია, სკამზე დაჯდა. თუმც მეტოქის ფარის მოშიშვლებით ბათუმელებმა მესამე მეოთხედში ვერ იხეირეს, ძირითადად ტყუპი ბერიშვილების პარაშუტისებური სროლების იმედად იყვნენ.

გადამწყვეტი მეოთხედი „ბასკომ“ ორი ცენტრით დაიწყო, აქაოდა, ფარზე მომაკვდინებელ ლახვარს ჩავცემ დინამოელებსო. თითქოს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ბათუმელთა ისედაც მძლავრი მაღლები მეტ გასაქანს ელოდნენ მეტოქის ძირითადი ცენტრების არყოფნაში. პირიქით კი მოხდა, სამარქაფო ზურაბ ჩუბინიძე მედგრად დაუდგა ბერძენიშვილს, ვახტანგ მინაშვილიც ყოჩაღად ასვეტილიყო საკუთარ ფართან და დინამოელთა მსროლელებმაც ერთი ხელის გაქნევით მოუთავეს საქმე ზღვისპირელებს.

როცა ბათუმელები მიხვდნენ, რომ მაღლებით ვერაფერს გახდებოდნენ, მოქნილი და მსროლელი ხალხი შეუშვეს მოედანზე, თუმც საქმეს ამანაც ველარ უშველა, „ბასკომ“ სირენამდე სამიოდ წუთით ადრე წააგო...

ვარსკვლავები ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი“, რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამქულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ქალი, ვაჟი, ვეტერანი“
— „ვარსკვლავთა მატჩი“

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი“, „ოლიმპი“ და „მთავარი გაზეთი სპორტი“.

პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში

უკანა ხაზი

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტულუში (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

ფორვარდები

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლივეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

ცენტრები

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოლუაშვილი (ქუთაისი)

მწვრთნელები

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

ანკეტა

უკანახაზელი _ _ _ _ _ _ _ _ _
ფორვარდი _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ცენტრი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
მწვრთნელი _ _ _ _ _ _ _ _ _ _

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული, „სარბიელი“

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს

2004 NBA Playoffs

18 მაისი

აღმოსავლეთი

ინდიანა 4:2 მაიამი

მაიამი 70:73 ინდიანა

მაიამი: ვეიდი (24), ჯონსი (16), რ. ბატლერი (2), ოდომი (22), გრანტი (10 მოხსნა); ჰეისლიპი (4), ალენი (2), ალსტონი, რ. ბატლერი
ინდიანა: ტინსლი (10), მილერი (15), არტესტი (27), ონილი (7 ქულა, 13 მოხსნა), ფოსტერი (2); ჰარინგტონი (7), ბენდერი (3), ჯონსონი (2), კროშერი





REUTERS

რეჯი მილერის „ინდიანამ“ ბოლო-ბოლო მოიშორა „აბეზარი“ „მაიამი“ და აღმოსავლეთის ფინალში გავიდა

21 მაისს ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში ბათუმიდან იძულებით გადატანილი ქალთა მსოფლიოს პირველობა იწყება. ჩემპიონატზე სულ 64 მოჭადრაკე ითამაშებს და მათ შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი საქართველოს ეყოლება — ჩვენი ქვეყნის სახელს შვიდი მოჭადრაკე დაიცავს. ელისტაში ჩავლენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ახალგაზრდათა შორის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე და სოფიკო ტყეშელაშვილი. ამ შვიდეულის გარდა ჩემპიონატზე კიდევ ორი ქართველი იმყოფება, ქეთევან კახიანი-გერშინსკა გერმანიის სახელით ასპარეზობს, რუსუდან გოლეთიანი კი აშშ-ს წარმოადგენს

ბათუმიდან ელისტაში მიმავალო ქალო!

დაიდგამს მსოფლიოს ჩემპიონი ასლან აბაშიძის გვირგვინს?



ასლან აბაშიძემ კირსან ილუმჟინოვს ეს საჩუქარი მოსკოვიდანაც კი უფეშქაშა

„ასლანის საჩუქარი“

ჩემპიონატს საქართველოდან ლტოლვილი ასლან აბაშიძე და მისი მეგობრები დააფინანსებენ. აბაშიძის გარშემო ბოლო კვირებში დატრიალებული მოვლენები პრაქტიკულად არ შეეხო მის და ფიდე-ს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის საქმიან ურთიერთობებს და აჭარის ყოფილი მეთაური კვლავაც რჩება ფიდე-ს საპატიო წევრად. ვარაუდობენ, რომ აბაშიძე ჩემპიონატის გახსნისას პირადად ესტუმრება ელისტას.

„ეს აბაშიძის საჩუქარია, თუმც მას ფული პირადად არ გაუღია. ფინანსების მოძიება მისი ავტორიტეტით მოხდა და პრესაში ეს არასწორად გაშუქდა. გამარჯვებულს კი აბაშიძის სახელობის გვირგვინით დააჯილდოვებენ“ — აცხადებს ფიდე-ს ვიცეპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც აბაშიძის პოლიტიკური კარიერის შერყევის მიუხედავად კვლავაც რჩება მის აქტიურ მხარდამჭერად. ამჟამად აზმაიფარაშვილი ელისტაშია.

„აბაშიძის საჩუქართან“ დაკავშირებით და საერთოდ აბაშიძისა და ჭადრაკის თემაზე რამდენიმე მოჭადრაკემ (ანა მათნაძე, ლელა ხავახიშვილი) ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა თავისი აზრი, როცა ასლან აბაშიძე აჭარაში იყო და პარტიზანივით ხიდებს აფეთქებდა. როგორც ახლა ირკვევა, მაშინ და შემდეგაც მათზე გარკვეული ზეწოლა ყოფილა ზურაბ აზმაიფარაშვილის მხრიდან.

ლელა ჯავახიშვილი: მე ვაპროტესტებ, რომ მსოფლიოს პირველობაზე ასლან აბაშიძის სახელობის გვირგვინი თამაშდება. ეს უბრალოდ შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი. მე და ანა მათნაძემ ჩვენი პოზიცია 5 მაისს გამოვხატეთ, როცა აბაშიძემ ჩოლოქზე ხიდები ააფეთქა. ამის გამო სერიოზული ზეწოლა და მუქარა იყო ჩვენს მიმართ, რათა არ მიგვეღო ჩემპიონატში მონაწილეობა. უსაფრთხოების ზომებისთვის სპორტის დეპარტამენტს მივმართეთ და ისინიც დახმარებას დაგვპირდნენ.

— კერძოდ ვისგან იყო ზეწოლა?

— ზურაბ აზმაიფარაშვილისგან. ხიდების აფეთქების შემდეგ რომ ჩამოვიდა ბათუმიდან, პრესკონფერენცია მოაწყო და თქვა, თასს კი არა, საერთოდ ჩემპიონატს „აბაშიძის საჩუქარი“ ერქმევა და თუ არ მოგწონთ, ნურც მიიღებთ მონაწილეობასო.

ანა მათნაძე: უკვე დავიღალეთ ამაზე ლაპარაკით, რომ ასეთი რამ არ შეიძლება ხდებოდეს. მე და ლელა ჯავახიშვილმა საერთოდ დავტოვეთ ფედერაცია იმ განზრახვით, რომ ასეთი ჩემპიონატში არ მივიღებდით მონაწილეობას.

— როგორც ვიცი, თქვენზე ზეწოლაც იყო...

— დიახ. ზურაბ აზმაიფარაშვილმა საერთოდ აგვიკრძალა ჩემპიონატზე ჩასვლა და გვირჩია, უარი გვეთქვა იქ თამაშზე. თუმც შემდეგ საქმეში ჩვენი ფედერაციის წევრები ჩაერივნენ. განსაკუთრებით მინდა მადლობა ვუთხრა ნანა ალექსანდრიას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენს დასაცავად.

ჩვენი პროტესტით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას იმიჯი შეელახებოდა, ამიტომაც უკან დავიხიეთ და ელისტაში გამგზავრებაზე დავთანხმდით.

სხვა მოჭადრაკე გოგონები ასე მკაფიოდ არ გამოხატავენ პოზიციას.

ნანა ძაგნიძე: ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ჯობია, საქმე გვირგვინამდე მივიდეს და ჩემს სათქმელსაც მაშინ ვიტყვი.

სოფიკო ტყეშელაშვილი: არ მინდოდა, ამ საქმეში ჩავრეულიყავი და ნეიტრალური პოზიცია დავიჭირე.

მაია ლომინეიშვილი: არც პოლიტიკოსი ვარ და არც მათ საქმეებში ვერევი, მაგრამ როცა ამ ხალხის დაფინანსებულ ჩემპიონატზე მიდიხარ და ასლან აბაშიძის პრიზს ღებულობ, მაშინ გვირგვინიც უნდა აიღო. დანამდვილებით ვერ გეტყვით, თუმც არის ინფორმაცია, რომ ეს ფიდე-ს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის საქართველოში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილთან საუბრის დროს გადაწყდა. მთავრობას ამის გამო არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს.

ნინო ხურციძე: მე მოჭადრაკე ვარ და არა პოლიტიკოსი, როგორი პოზიციაც ექნება სახელმწიფოს, მეც ისე მოვიქცევი.

გორბაჩოვი ცოცხალია და ჭადრაკი უყვარს

ჩემპიონატის მთავარი სპონსორი „საინვესტიციო პროექტებისა და პროგრამების ცენტრია“. ამ ფირმის პრეზიდენტი სკანდალურად ცნობილი გრეგორ ლუჩანსკი გახლავთ, რომლის სახელი და საქმეები ხშირად უკავშირდება ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა იარაღი, ნავთობი ნარკოტიკები, ძვირფასი ნივთები და ასე შემდეგ.

ჩემპიონატის კიდევ ერთი სპონსორია „ROSINTERNET FUND“ და მისი შეფი, თავად მიხეილ [illegible].

მსოფლიოს ჩემპიონატი უჩემპიონოდ

ელისტაში ჩასვლა არაერთმა ცნობილმა მოჭადრაკე გოგონამ იუარა, კერძოდ ჩინელებმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟუ ჩენმა, ყოფილმა ჩემპიონმა სე ჟუნმა, ქალთა რეიტინგსიაში პირველმა ნომერმა უნგრელმა იუდიტ პოლგარმა და ავსტრიელმა ირინა ბერესინამ. ელისტაში მათ სათადარიგო მოთამაშეები შეცვალიან.

ელისტაში ასევე არ ჩასულა ნანა იოსელიანი, რომელმაც განაცხადა, ჩემპიონატი ბათუმში რომ გამართულიყო, დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ერთწლიანი საჭადრაკო პაუზის შემდეგ ვერავითარ ძალას ვერ გამოვნახავდი ელისტაში გასამგზავრებლადო. სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე ახალგაზრდა უკრაინელმა კატერინ ლანჩომ შეცვალა.

ჩემპიონატის მონაწილენი სხვადასხვა წესით შეირჩნენ. წინა პირველობის ნახევარფინალისტებს საკვალიფიკაციო თამაშები არ დასჭირვებიათ. მათ დაემატათ ფიდე-ს რეიტინგის ხუთი მოწინავე დიდოსტატი, ერთი ახალგაზრდა ჩემპიონი, ორიც ფიდე-ს პრეზიდენტის ნომინანტი და დანარჩენი 52 კონტინენტების საკვალიფიკაციო შეჯიბრებიდან. მათ შორის ყველაზე მეტი, 29 წარმომადგენელი ჰყავს ევროპას, შემდეგ მოდიან აზია — 12, ამერიკა — 8 და აფრიკა — 3.

ამ 64-ის გარდა, სათადარიგოდ შეგულებულია 10 მოჭადრაკე და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, ისინი მზად არიან, მსწრაფლ შეცვალონ გამოკლებულები. სათადარიგოთა შორისაა ერთი ჩვენებური ქეთევან არახამია-გრანტიც.

ქართველთაგან ჩემპიონატზე მაია ჩიბურდანიძე წინა პირველობის ნახევარფინალისტის სტატუსით მოხვდა. ნანა ძაგნიძე კი პრეზიდენტის ნომინანტთა შორის დასახელდა.

64 მონაწილე პლეი-ოფის სისტემით დაუპირისპირდება ერთმანეთს და ჩემპიონის გამოსავლენად სულ ექვსი რაუნდი იქნება საჭირო, თითოეული რაუნდი ორ დღეს გასტანს, მოჭადრაკეები კი ორ პარტიას გაითამაშებენ, თუ საჭირო გახდა, დაინიშნება ტაი-ბრეიკი.

პირველი რაუნდის საპრიზო ფონდი 120 ათასი დოლარია და ეს თანხა 32 გავარდნილ მოჭადრაკეს შორის განაწილდება. მომდევნო რაუნდში 16 წაგებული 88 ათასს გაიყოფს, მესამეში 64 ათასი გათამაშდება, მეოთხეში — 48 ათასი, ხოლო მეხუთეში — 40 ათასი.

ლაშა გეგეჭკორი

ქართველები მეტოქეებზე

ქართული წყვილები

მაია ჩიბურდანიძე — ფარიდა აროუჩე (ალჟირი)
სოფიკო ტყეშელაშვილი — ქსუ იეჰუა (ჩინეთი)
ნანა ძაგნიძე — ჯენიფერ შაჰაიდე (აშშ)
ანა მანთაძე — ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა)
ლელა ჯავახიშვილი — ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)
ნინო ხურციძე — ეკატერინა პოლოვნიკოვა (რუსეთი)
მაია ლომინეიშვილი — ირინა სლავინა (რუსეთი)

ნანა ძაგნიძე: შაჰაიდე საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეა და მასთან სათამაშოდ დიდი მონდომებით ვემზადები.

მაია ლომინეიშვილი: სლავინა სუსტი მოჭადრაკე ნამდვილად არ არის. ბოლო ორი წელია, საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობს და სერიოზული შედეგებიც აქვს. მის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე მესამე-მეექვსე ადგილები გაიყო.

სოფიკო ტყეშელაშვილი: ქსუ იეჰუა მსოფლიოს თასის მფლობელია და ჩემთვის საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეა. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მასთან შეხვედრისას მოგებისთვის ვიბრძოლებ.

ლელა ჯავახიშვილი: კოსინცევა ჩემი ძველი მეტოქეა. იგი ერთი წლით უმცროსია ჩემზე და ასაკობრივ ქვეჯგუფებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე ორჯერ შევხვედრილვარ. ორივე პარტია ყაიმით დავასრულეთ. რუსეთი დიდ იმედებს ამყარებს ამ მოჭადრაკეზე და მათთვის ერთ-ერთი ფავორიტად მოიაზრება.

ნინო ხურციძე: ფავორიტები, როგორც ადრე იყო, ისე აღარ არიან. ჭადრაკის დონე საკმაოდ ამაღლდა და დღესდღეობით იოლი მეტოქე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და წარმატებისთვის ვიბრძოლებ.

ანა მათნაძე: ალექსანდროვას აქამდე ორჯერ შევხვედრილვარ და ჯერჯერობით 2:0 ვუგებ. ელისტაში რა მოხდება, წინასწარ ვერ გეტყვით.

ჩიბურდანიძის მეტოქე ფარიდა აროუჩე ნამდვილად არ განეკუთვნება გრანდებს და იმედია, ქართველი დიდოსტატი მას იოლად მოუგებს.



ანა მათნაძე

ლელა ჯავახიშვილი

ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი. ანთალია. 14–31 მაისი

IV ტური

დავიდ ნავარა (ჩეხეთი) — ბაადურ ჯობავა (საქართველო) 1:0
ირჟი სტოცეკი (ჩეხეთი) — ზვიად იზორია (საქართველო) 0,5:0,5

მხოლოდ ქართველთა შედეგები

ნავარამ ჯობავა ჩააქვეითა

მეოთხე ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში ჩეხი დავიდ ნავარა მოექცა. ტურის დაწყებამდე ნავარა და ჯობავა ერთდროულად ლიდერობდნენ ჩემპიონატს და დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენებური მასზე წინ იყო, თუმც ჩეხმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ქართველს და სამი საფეხურით დააქვეითა.

ბაადურის მსგავსად, 3-3 ქულა ერთბაშად 14 მოჭადრაკეს აქვს, ცნობილთაგან აქ ტრიალებენ ჩემპიონატის პირველი ნომერი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი და ბაქოელი ვუნდერკინდი თეიმურაზ რაჯაბოვი.

ნავარამ ჯაბავასთან პარტია აქტიურად დაიწყო, წინ პაიკები მხედრებთან ერთად გაუშვა და ცენტრს დაეპატრონა. დაფის შუაში გამაგრებულ თეთრებს ქართველი მსუბუქი ძალებით დაუპირისპირდა და ფიგურების შეუბრალებელი ხოცვა იწყო. შეტაკებაში ნავარამ იმარჯვა. ორ პაიკთან ერთად კუც აართვა და მძიმედ შეუტია. დაფაზე ჩეხის უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა და ქართველი ყაიმისთვის ბრძოლას შეუდგა, თუმც მრავალმხრივ შეტევას ვერ გაუძლო და 48-ე სვლაზე დამარცხებულმა დატოვა ბრძოლის ველი.

ყაიმების სერიას აგრძელებს ზვიად იზორია. ამჯერად მან ქულა მეორე ჩეხს ირჟი სტოცეკს გაუყო.

ლაზა გეგეჭკორი

1	დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	4 ქულა
2	თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	3
3	ტომი ნიბაკი (ფინეთი)	3
4	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	3
23	ზვიად იზორია (საქართველო)	2.5

თქვენ არხეინად იყავით!

ახალგაზრდა მორაგბეები აქეთ-გვაიმედებენ

ბაფრი ჯეიმსონის ფოტო

ესპანელებთან ერთი ლელო მამუკა გორგოძის წილადაა

რუმინეთში მიმდინარე ახალგაზრდა მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე პატარა ბორჯღალოსნებმა გუშინ მეორე გამარჯვება იზეიმეს. სერბეთის მიწასთან გასწორების შემდეგ ნახევარფინალში ესპანეთსაც აჯობეს, შედარებით მოკრძალებული, მაგრამ მაინც სოლიდური ანგარიშით — 35:18.

ჩავლეიშვილ-ძაგნიძის შეგირდებმა „მგლები“ ოთხჯერ დაალელოვეს. ორჯერ ელიზბარაშვილმა, თითოჯერ კი გორგოძემ და ყუფარაძემ. სოხაძემ სამი გარდასახვა და ამდენივე საჯარიმო მიითვალა.

ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. ბორჯღალოსნებს ფინალი 22 მაისს მასპინძლებთან ელით და თუ იქაც იმარჯვეს, ევროპულ ოქროსთან ერთად მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც მოიპოვებენ. განწყობა საბრძოლოა. გუნდი ფსიქოლოგიურ დატვირთვას ვერ გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთს საკუთარი კედლების უპირატესობა ეჭნება. მთავარია ობიექტურად გვიმსაჯონ და დანარჩენს ჩვენით მივხედავთო — აქეთ გვაიმედებენ მორაგბეები.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

ორძელი ხელბურთში

17 მაისი

სტუ შევარდენი 48:29 ქუთაისი

საუ მამული 31:26 მართვე

18 მაისი

მართვე 25:42 სტუ შევარდენი

ქუთაისი 36:28 თბილისი

19 მაისი

მამული 29:26 თბილისი

ქუთაისი 35:35 მართვე

არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ხელბურთში მეთოთხმეტე ჩემპიონატის მეორე წრე გახურდა და სამმა ტურმაც ჩაიარა. ერთადერთი გუნდი, რომელსაც ვერავინ შესწვდება, „სტუ შევარდენია“. 13-გზის ჩემპიონი კვლავ დაუმარცხებლად განაგრძობს ჩემპიონატს და ყველას ადვილად უსწორდება. ხოლო მომდევნო ოთხეული თითქმის თანაბარი დონისაა. ეს მოსაზრება ბოლო სამმა ტურმაც დაამტკიცა.

გუშინდელი წყვილები სწორედ არასაჩემპიონო ოთხეულმა შეადგინა, ლიდერს კი დასვენების დღე ჰქონდა. პირველად მოედანზე შარშანდელი პრიზიორები, „საუ მამული“ და „თბილისი“ გავიდნენ. თამაში „თბილისის“ კარნახით დაიწყო, მაგრამ „მამულმა“ მალევე შეატრიალა სათავისოდ ანგარიში. თითქმის 20 წუთი 3-4 ბურთიანი უპირატესობითაც იგებდა, თუმც ტაიმის ბოლოს მოულოდნელად მოდუნდა და ეს ძვირადაც დაუჯდა. შესვენებამდე წამებით ადრე თბილისელთა რიგებში გამორჩეულმა არსენიშვილმა ანგარიში 14:14 გახადა.

მეორე ტაიმი ძირითადად ბურთიბურთში მიდიოდა, მერე კი „მამული“ ისევ ოთხი ქულით გაიჭრა წინ და ამჯერად უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვა.

მეორე შეხვედრა კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა. ალეკო ბოყოჩაძის „ქუთაისი“ ბოლოადგილოსან „მართვეს“ დაუპირისპირდა. პირველი წრე ამ გუნდებმა 2-2 ქულით ჩაამთავრეს და ცხრილის ფსკერზეც განთავსდნენ, მაგრამ ამ დღეებში ქუთათურებმა მაღლა ანაცვლება მოახერხეს. გუშინწინ მათ „თბილისს“ მოუგეს და, ცხადია, „მართვესთანაც“ მოედანზე ორი ქულისთვის გავიდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთის აღება შეძლეს.

ლამის მთელი 60 წუთი ქულა-ქულაში მიმდინარე თამაში 35:35 დასრულდა. ფრემ ვერცერთი გუნდი ვერ დააკმაყოფილა და აი, რატომ: ბოლო წამებზე — როცა ანგარიში უკვე 35:35 იყო — „მართვე“ უტევდა. სირენამდე ხუთიოდ წამით ადრე ერთ-ერთმა „მართვემ“ ძლიერადაც გაისროლა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა. მას ქუთაისელები დაეუფლნენ და მეტოქის ნახევარზე ეულად მდგომ გაბედავას გადაუგდეს. იგი მეკარესთან პირისპირ გავიდა, სროლაც მოასწრო და... ისევ ძელი.

დღეს 14 საათზე „სტუ შევარდენი“ და „მამული“ ითამაშებენ. 16-ზე კი „თბილისი“ და „მართვე“.

ოთარ მაღლაკელიძე

სატურნირო ვითარება

სტუ შევარდენი	6	6	0	0	269:147	12
საუ მამული	6	4	0	2	180:190	8
ქუთაისი	7	2	1	4	221:256	5
თბილისი	6	2	0	4	156:192	4
მართვე	7	1	1	5	209:250	3

პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

18 მაისი

აღმოსავლეთი

ტამპა 3:2 ფილადელფია

ტამპა 4:2 ფილადელფია 1:0 2:2 1:0

1:0 ფედოტენკო (11), 2:0 რიჩარდსი (21), 3:0 რიჩარდსი (28), 3:1 ჰანდზუში (29), 3:2 შარპი (30), 4:2 ტეილორი (60)

„ტამპამ“ სარეკლამო პაუზების გამომგონებლებზე უნდა ილოცოს. სწორედ ამ 100-წამიანმა ტიხარმა მოათქმევინა სული მოთამაშეებს და მოაგებინათ მატჩი.

„ელვებმა“ თავიდანვე დიდი ჟინით დაიწყეს თამაში, „მფრინავები“ აშკარად არ ელოდნენ მეტოქისგან ასეთ ზეწოლას. პირველმა პერიოდმა ტამპელთა უპირატესობით ჩაიარა და რუსლან ფედოტენკოს გოლი (უკრაინელმა დამატებაზე იხეირა) აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ. დაბნეული ფილადელფიელები მხოლოდ წესების დარღვევით აჩერებდნენ მეტოქეს, თუმც ეს ძალიან ძვირად დაუჯდათ. მეორე პერიოდში ფრედ რიჩარდსმა ორი უზუსტესი დარტყმით ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა და თავისი გუნდი 3:0 დააწინარა. ამის შემდეგ „ტამპა“ თითქოს შეცვალეს. სულ რაღაც ორი წუთის განმავლობაში მასპინძლებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს და მეტოქემაც შანსი შეირგო — ჯერ კართან უმეთვალყურეოდ დატოვებულმა მიხაილ ჰანდზუშმა გაიტანა, 38 წამში კეიტ პრიმოს პასის შემდეგ პატრიკ შარპმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. „ტამპას“ თავკაცი ჯონ ტორტორელაც დაიბნა და ისიც ვერ მოიფიქრა, რომ ტაიმაუტი აეღო. ცოტაც და ანგარიში გათანაბრდებოდა და... სარეკლამო პაუზის დროც მოვიდა. სანამ ლამაზმანები ყინულს ასუფთავებდნენ, ტამპელებმა დაისვენეს, ტორტორელაც დამშვიდდა, გონს მოეგო და მითითებები მისცა შეგირდებს. ამის შემდეგ სულ სხვა თამაში წავიდა. მასპინძლები დაცვით ჰოკეიზე გადავიდნენ და კბილებით იცავდნენ თავიანთ მინიმალურ უპირატესობას. ამის შემდეგ „ტამპას“ კართან საგოლე მომენტები აღარ შექმნილა, არცთუ საშიშ დარტყმებს კი ნიკოლაი ხაბიბულინი გაუმკლავდა.

„ტამპას“ პირველი გოლის ავტორი რუსლან ფედოტენკო

რა ჯობია კაი რეკლამას?

მასპინძლებმა შვებით მაშინ ამოისუნთქეს, როცა ბოლო წამებზე ტიმ ტეილორმა ცარიელი კარი დალაშქრა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა. ამრიგად, „ტამპა“ კვლავ დაწინაურდა სერიაში, თუმც მაინც შეგახსენებთ, რომ ამ სერიაში მოწინააღმდეგეები რიგრიგობით ისვრიან.

სამველ ღარიბიანი

ჯირო დიტალია 2004. 8–30 მაისი

ეტაპი, რა თქმა უნდა, ალესანდრო პეტაკმ მოიგო

მე-10 ეტაპი. 19 მაისი. პორტო სანტ ელპიდიო — ასკოლი. 146 კმ

1	ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	3 სთ, 24 წთ, 17 წმ
2	მარკო ძანოტი (იტალია) კალდიროლა	
3	ანდრის ნაუდუსი (ლატვია) დომინა ვაკანზე	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1	დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	45 სთ, 23 წთ, 32 წმ
2	ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+10 წმ
3	ფრანკო პელიციტი (იტალია) ალესიო-ბიანკი	+28 წმ
4	იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+31 წმ
5	ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიჩე პანარია	+52 წმ

REUTERS ნიუ იორკიდან

პრეტენდენტი

კვლავაც გრძელდება მზადება სერიალ „პრეტენდენტის“ გადაღებებისთვის. ეს იქნება უსცენარო, 16-სერიანი ფილმი, რომელშიც 16 მოკრივე ჩაერთვება და ნამდვილ ბრძოლებს გამართავს, ბოლო სერიაში კი გამარჯვებული მილიონ დოლარს მიიღებს. ამ რეალური შოუს მთავარი სახე ძველი როკი, სილვესტრ სტალონეა, რომელიც საღლაბუცო რაუნდში გადამდგარ დიადს, შუგარ რეი ლეონარდს შებმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ნიუ ხორკიდან

REUTERS ბეიჯინგიდან

დამალული ჯორდანი

პეკინს, ჩინური საკალათბურთო პროგრამის საპრეზენტაციოდ სწვევია მაიკლ ჯორდანი, მაგრამ ვაი, ამ სტუმრობას. ეზოს მოედანი, სადაც ჯორდანს, ერთი-ორი უნდა ეტყორცნა, მისი ნახვის სურვილით ანთებულმა ბიჭ-ბუჭომ დაიკავა და თვით ჩინურმა მილიციამაც კი ვერ მოახერხა მისი უჰაეროვნესობისთვის უსაფრთხო პირობების შექმნა. ასე რომ, მაიკლი ხალხს არ დაანახეს.

REUTERS ბეიჯინგიდან

REUTERS მონტე კარლოდან

პრინცის საბავშვო ფორმულა

პრინცმა ალბერმა მორიგი საფეხბურთო მატჩი გამართა, შემოსავალი კი დუხჭირ ბავშვთათვის გადადო. საბავშვო გუნდს თავად უფლისწული კაპიტნობდა, მეფორმულეთა გუნდს კი, ტრადიციულად მიხაელ შუმახერი. თამაში მშვენიერი გამოვიდა, პილოტმა ფერნანდო ალონსომ (ქვედა ფოტოზე) ისიც თქვა, კარგა ხანია, ამდენი ოფლი არ დამდენიაო.

REUTERS მონტე კარლოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორედაქტორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge